საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 3 თებერვალი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ხელის განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 25 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 25

ღრმად დამწუხრებული ზ. ნაიდა მესხლოვი-ოთარაშვილისა და თინათინ ივანეს ასული მესხლოვისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას პირველი ძვირფასი ქმრის, ხოლო მეორე სიძის

ნიკო იოსების ძე ოთარაშვილისას

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 5 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, ერთობის უბანი, სამოვოლნი ქუჩა, საკუთარი სახლი (მარჯანიშვილის გორაზედ). პანაშვიდი ოთხშაბათს, 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (უფ 3—1)

მშობელი ქეტოის ასული და იოსებ (ლუარსაბ) აბრამის ძე, ივანე და თედო იოსების ძენი, სოფიო ანდრიას ასული და მაგდანე დავითის ასული ოთარაშვილები, ზაქრო და მარიამ ქურთაველები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ორი საყვარელი შვილის, მეორენი—ძმის, ხოლო უკანასკნელნი მაზლის

ნიკო იოსების ძის ოთარაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 5 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარი სახლიდან. (ერთობის უბანი, სამოვოლნი ქუჩა მარჯანიშვილის გორაზედ) დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ოთხშაბათს, 4 თებერვალს საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე. (უფ 3—1)

უზომოთ დამწუხრებულნი: ნოე ბესარიონის ძე, მეუღლე მარო ქაიხოსროს ასული, შვილი ბენიაკო აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ პირველ თებერვალს დილის 4 საათზე მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პირველის ძმა, მეორის მაზლი და უკანასკნელის ბიძა

ანთიმოზ რამიშვილი

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (ნ. 1—1)

გაუბედურებული მშობლები ბესარიონ მახარბელის ძე და მაკა ნიკოლოზის ასული რამიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1 თებერვალს დილის 4 საათზე მიხეილის საავადმყოფოში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი შვილი

ანთიმოზი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ. 1—1)

გულდამწვარი და მწუხარე ვასილი, დავით, ისიდორე და იაკობ ბესარიონის ძენი და რძლები: კალინე, ოლღა, მარუსია და ლიდა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს რომ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი პირველის ძმა და უკანასკნელის მაზლი

ანთიმოზ ბესარიონის ძე რამიშვილი

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (ნ. 1—1)

გულდათუთქული ექიმი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე და მეუღლე მისი ოლღა ნესტორის ასული ხვედელიძეები წუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 1 თებერვალს ქ. თფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უგულითადესი მეგობარი და უკანასკნელის ბიძა

ანთიმოზ ბესარიონის ძე რამიშვილი

(ნ 1—1)

დამწუხრებული სიძე ნესტორი, და მართა, შვილები: მალაქია, შალვა, ნინა და პეპიკო ბერიშვილები ამით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ცოლის ძმა, მეორის ძმა და უკანასკნელის ბიძა

ანთიმოზ ბესარიონის ძე რამიშვილი

თავზარდაცემულნი დიდედა ანნა მექანარიშვილი, მამიდები: თამარ, შვილებით ციცა და ლეონ დით, ელენა, ნათელათი, ნინო და ბიძები: ლეონიდ; ათინოგენ, არჩილი და ემილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ დაუვიწყარ პატარა ძმისწულის და ბიძაშვილის

თინიკოს

უდროოდ გარდაცვალებას

გულმოკლულნი და თავზარდაცემულნი მშობლები: ვიქტორ იოსების ძე და ელენე იოსების ასული მექანარიშვილები უზომო წუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასზედ უძვირფასესის, საყვარელის და დაუვიწყარის პატარა შვილის

თინიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. რომელიც მოხდა ა. წ. 1 თებერვალს.

გულდამწვარი დედა ნატალია ძოძის ასული გეწაძისა. დები: ბაბუცია, ეფროსინე და ნადეჟდა ნიკოლოზის ასულნი გეწაძეები, ბიცოლა ეკატერინე ნიკოლოზის ასული გეწაძისა, ბიძაშვილები კოლია, ქრისტეფორე და გოგუცა გეწაძეები. სიძე ნიკოლოზ ფ. ვარდოსანიძე დისწულები ლევან, სონა და მარიამ ვარდოსანიძეები. ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ერმონია (იგივე ცაცანა) ნიკოლოზის ასული გეწაძე

გამოსვენება მოხდება ქალ. ზესტაფონიან საკუთარი სახლიდან სამშაბათს, 3 თებერვალს, დაკრძალვა იმავე დღეს საქარის მაცხოვრის ეკლესიაზე. (388—1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დარო, შვილებითურთ, აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 3 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ მეუღლის

ივანე გიორგის ძე საათაშვილის

სულის მოსახსენიებლად (ნ. 1—1)

მუშათა კოოპერატივ „ალორძინება“-ს მოსამსახურეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნაცნობებს და მეგობრებს კოოპერატივ „ალორძინება“-ს თანამშრომლის— ენერგიული მუშაკის

ნიკო იოსების ძე ოთარაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. (393—1—1)

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო მწუხარებით აუწყებს თავის წევრთ და ქართველ საზოგადოებას, რომ მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ თებერვლის პირველს ქ. გორში გარდაიცვალა კავშირის წევრი დიდად ნიჭიერი მსახიობი

გიორგი ნიკოლოზის ძე იშხნელი

(არადელი)

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 12 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ —3—1)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს

აგრარულ რეფორმათა განყოფილება ამით იწვევს თიანეთის სამაზრო ერობის სადგილ-მამულო განყოფილების გამგის თანამდებობაზე მცოდნე და გამოცდილ პირს. (ჯამაგირი თვეში 4550 მანეთი) მსურველებმა მოსალაპარაკებლად უნდა მიმართონ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგეს. (ნ. 3—2)

საქ. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონული კოლექტივის ბიურო

გადავიდა ახალ ბინაზედ

ბებუთოვის ქ. სახ. № 22.—ბიურო ღიაა: დილის 10—1 საათ., საღამოს 5—7 საათ. (უფ. 1—1)

ექიმი ირადიონ ამბროსის ძე

ცეხანოვსკი

[illegible] ქუჩა საკ. სახლი № 28 [illegible] ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.

ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს (606—914) მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—3423)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

მუშები და მოსამსახურენი

მრავალი საკითხები არია რევოლიუციურმა მოძრაობამ. მრავალი უდაო საგანი სადაოთ აქცია, სადაო უდაოთ.

ბევრი ნათელი და აშკარა შეხედულება ბინდით მოფინა, ხოლო გადაუჭრელი პრობლემები—საბოლოოთ გადაწყვეტილად გამოაცხადა.

მაგალითად ეროვნული საკითხი მეტად რთული და ძნელი, დღეს გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს. სამაგიეროთ კლასობრივი პრობლემა გართულდა და ხშირათ საშინელი ბურუსით მოცული შექნა იმათთვისაც კი, ვინც ყველაზე უფრო უნდა იყოს გარკვეული ამ საკითხში.

ერთი ასეთ კლასობრივ საკითხთაგანია მუშათა და მოსამსახურეთა ურთიერთობა. იმ ძველ გმირულ ხანაში, როდესაც ჩვენ გაალმასებულ ბრძოლას ვაწარმოებდით თვითმპყრობელ რეჟიმის წინააღმდეგ, ეს საკითხი თითქოს არც კი იდგა ჩვენს წინაშე. რევოლიუციურ ბრძოლის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო მუშათა კლასი და არა სახელმწიფო მოსამსახურენი. ამიტომ ადვილათ ვითვისებდით იმ აზრს, რომ ამ კლასს ეკუთვნიან არა ყველანი, ვინც რამე სახით დაქირავებულია, არამედ მწარმოებელნი, ე. ი. წარმოებაში დაბანდებულნი, რომელნიც თავის ფიზიკური შრომის გაყიდვით არსებობენ და ქმნიან ზედმეტ ღირებულებას. მაშინ სადაოთ იყო არა მოსამსახურეთა მიკუთვნება მუშათა კლასისთვის, არამედ იმ არა მწარმოებელ ელემენტებთა, რომელნიც ვაჭრობაში არიან ჩაბმულნი—ნოქრების. დიდი დავის შემდეგ ეს უკანასკნელნი ჩარიცხულ იქნენ მებრძოლ მუშათა რიგში. დღეს კი რევოლიუციურ ხანაში მუშათა კლასის ანექციონისტური მისწრაფებანი იმდენათ გაიზარდნენ, რომ ლამის მთელი სახელმწიფო მათ კუთვნილებათ იქნეს გამოცხადებული. ყოველ შემთხვევაში ჩინოვნიკობა მათ უკვე მიისაკუთრეს.

რამ გამოიწვია ასეთი გაფართოვება?

რევოლიუციური ბრძოლი მუშათა კლასის მეთაურობით ხდება, მაგრამ რევოლიუცია არის იმავე დროს არა მარტო ერთი კლასისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის. საზოგადოების დიდი უმრავლესობისათვის მისი წყალობა და სხივოსნური შუქი ეფინება არა მარტო მშრომელ მასსას, არამედ მთელ ერს, გარდა სულ მცირე გამონაკლისისა. ამით იგი არის ნაციონალური, ხალხოსნური, მთელი საზოგადოების განმაახლებელი და განმახალისებელი. მუშათა კლასი ამ რევოლიუციაში გამოდის არა მარტო თავის კლასის დამცველად, არამედ მთელი ერის. იგი ხდება ნაციონალურ კლასათ, მთელი ერის წარმომადგენლათ ისე, როგორც საფრანგეთის რევოლიუციაში ერის წარმომადგენლობა იკისრა ბურჟუაზიამ.

მაგრამ ამ ორი კლასის ნაციონალური როლში არის განსხვავება. ბურჟუაზიის ნაციონალური როლი გამოიხატებოდა მასსის დამორჩილებაში, მუშათა კლასისათვის ახალ მონობის შექმნაში. მუშათა კლასის ნაციონალური როლი გამოიხატება ყველა კლასების განთავისუფლებისაკენ მისწრაფებაში, მთელი საზოგადოების თავისუფალ შრომის სამეფოთ გადაქცევაში.

და აი ეს მისწრაფება პროლეტარიატისა შლის ერთგვარათ საზღვარს მასა და დანარჩენ წრეებს შორის, და აგროვებს დაშორებულ საზოგადოებრივ ჯგუფებს.

სოციალიზმი, რომელიც ჩვენი საბოლოო მიზანია—ყველას გადაქმნის თანახმად მუშათა იდეალისა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეს მისწრაფება—სწორი და უტყუარი, ისტორიულათ, ხშირათ ხდება მიზეზი ერთგვარი ბუნდოვანობისა დღევანდელ აზროვნებაში.

და ეს ბუნდოვანება, არა გვგონია, სასარგებლო იყვეს თვით ამ მიზნისათვის.

ერთია როლი მუშათა კლასის, და მეორეა სოციოლოგიური შინაარსი—დღევანდელი საზოგადოების.

მუშათა კლასი მისწრაფის კლასთა გაუქმებისაკენ, მაგრამ დღეს იგი ყველაზე მეტათ ცდილობს კლასიური ხაზი გაავლოს თავისა და მეპირდაპირეს შორის. კლასთა გაუქმების ინტერესები მოითხოვენ დღეს კლასთა სასტიკ დაყოფას.

ამ მხრივ, თუ გნებავთ, დემოკრატიული წყობილება, სუბიექტისა ასპარეზია, სუბიექტისა ნიადაგი კლასთა ურთიერთობის გამოსაჩინებლათ. და მუშათა კლასს მართებს ამიტომ, არა ფართე მასსაში გათქვეფა—არამედ მათგან სასწორით გამიჯვნა და საკუთარ პოზიციების ჩამოყალიბება.

ნაციონალური როლი მოითხოვს მუშათაგან მთელი ერის ხელმძღვანელობას, მაგრამ არა თავის სახის დაკარგვას. ასე თუ შევხედავთ საკითხს, ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ დღევანდელ საზოგადოებაში მუშა და მოსამსახურე სხვადასხვა კატეგორიის წარმოადგენენ.

მუშის დამახასიათებელი ქირხნის დაქირავებული შრომაა. მოსამსახურის—სახელმწიფო ადმინისტრატიული აპარატის ამოძრავება. პირველი ეკონომიური კატეგორიაა, მეორე ადმინისტრატიული—თუ გნებავთ, პოლიტიკური. პირველი პირდაპირ დგას კლასთა ბრძოლის ერთ მხარეზე. მეორე კი წევრია სახელმწიფოს აპარატის, რომელიც ემსახურება იმ კლასს, ვინც სახელმწიფოს ბატონპატრონათ ითვლება.

პირველი ამოძრავებს საზოგადოებრივ განვითარებას, წინმსვლელობას საზოგადოების საფუძველთა შეცვლით. მეორე კი მხოლოდ ემსახურება უკვე შეცვლილ ურთიერთობას, უკვე დამყარებულ წესს.

და მხოლოდ ის გარემოება, რომ დღეს მუშათა კლასის ნება არის გადამჭრელი, სახელმწიფოსთვის და მაშ სადამე მოსამსახურეთა კატეგორიისათვისაც, ვერ ხდის მათ მუშათა კლასის შემადგენელ ელემენტათ. ასეთი არევდარევა ახასიათებს არა მარქსიზმს, არამედ სინდიკალიზმს. მათ პროფესიები და პროფესიონალური წრეები—სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებათ აქვთ წარმოდგენილი, სახელმწიფო კი პროფესიათა კავშირათ, ამიტომ მოსამსახურენი და მუშები მათ აზროვნებაში ერთგვარ ეკონომიურ ღირებულებას წარმოადგენენ.

ორივე დაქირავებული და დაჩაგრულია—აი გამაერთიანებელი ელემენტები, მაგრამ ეს ორი ელემენტი—უფრო მორალური ღირსებისაა, ვინემ პოლიტიკურის. და მხოლოდ ანარქისტები, მათ მონათესავე სინდიკალისტებთან ერთად ამყარებენ ამ მორალზე თავის წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიას. მარქსიზმი უფრო ღრმათ იხედება. იგი ცხოვრების საფუძვლათ აცხადებს არა იმას, რომ ესა თუ ის წრე დაჩაგრულია, არამედ იმას, თუ რა როლს ასრულებს იგი სოციალურ ცხოვრებაში.

როგორც ეკონომიური ცხოვრების მონაწილენი კი მუშა და მოსამსახურენი სხვადასხვანი არიან, და ისე შორს დგანან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა...

ეს განსხვავება არ ნიშნავს იმას, რომ ერთი მათგანი იყოს დაცული რესპუბლიკის კანონებით და მეორე კი ამ დაცვის გარეშე დატოვებული. სრულიადაც არა. მაგრამ განსაკუთრებული მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ კანონმდებლობით დაცვას. არ შეიძლება მათი ერთ ფარგლებში მოქცევა, ერთი ნორმებით განსაზღვრა. სულ სხვა ხასიათის კანონები ესაჭიროება მუშებს და სულ სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებს. პირველთათვის აუცილებელია მოწესრიგება ქირავნული შრომის პირობების. მეორეთათვის სახელმწიფოებრივი სამსახურის. პირველ შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული ინტერესები შრომის და საწარმოვო ძალთა განვითარების, მეორეში მოსამსახურის პიროვნების და სახელმწიფო აპარატის საქმიანობის. ამიტომ ჩვენ ვამბობთ; შრომის ხელშეკრულება უნდა შეეხოს პირველთ, ხოლო სახელმწიფო სამსახურის წესდება მეორეთ.

ჩვენს კანონმდებლობაში არც არის განზრახული მათი ინტერესების დაცვა. მოსამსახურეთა უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები ცალკე თავშია შეტანილი ჩვენს ძირითად კონსტიტუციაში და მუშათა დაცვის კიდევ ცალკე სოციალურ კანონმდებლობის ნაწილია. მათი არევა—მხოლოდ ზიანს მოიტანდა ერთ ერთ ამ წრეთაგანს, ან იმ საზოგადოებრივ მიზნებს, რომელთა უკუგდება და უყურადღებოთ დატოვება არც ერთი კანონმდებელს არ შეუძლია.

ჩვენ სწორეთ ამ თვალსაზრისიდან გამოვდივართ, როცა მუშათა კანონმდებლობას ვაცალკევებთ მოსამსახურეთა შესახები კანონმდებლობიდან. ამას მოითხოვს ინტერესი თვით ამ წრეების. ამას მოითხოვს მაშასადამე ინტერესი მუშათა კლასისაც. და ამასვე მოითხოვს ინტერესი რესპუბლიკის ერთ მხრით და საწარმოვო ძალთა განვითარების მეორე მხრით.

ასეთია ერთად ერთი სწორი შეხედულება საზოგადოებრივ ურთიერთობასა და დემოკრატიულ კანონმდებლობაზე.

პრესა

ჩვენი მოწინააღმდეგენი უკვე შეუდგნენ ისტორიის წერას. მათი ისტორია მეტად მარტივი და ადვილი საწერია. ამისთვის არც ცოდნაა საჭირო, არც გამოცდილება, არც მოვლენათა ახსნა გამოკვლევა. მათ იციან მხოლოდ ორი ფრაზა, რომელიც მუდამ ასე იწყება: ისტორიამ გაგვამართლა ჩვენ, გაამტყუნა სოციალდემოკრატები.

ასეთ ისტორიკოსთა რიცხვს ეკუთვნის ბ. ს. დადიანი. ის ასე იწყებს „სახალხო საქმეში“ ჩვენი ქვეყნის ისტორიის წერას:

„ოცდა ხუთ წელიწადზე მეტი იქნება, რაც რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია და მისი განყოფილება კავკასიაში თავგამოდებით ებრძოდა ხალხში ეროვნული გრძნობის შეტანას და ეროვნული ინტერესების შეგნებას.

მარა ისტორიამ საშინლათ დასცინა მათ. ისტორიამ ისინი დააჩოქა ეროვნულ სამსჯავროს წინაშე და თაყვანი აცემინა იმისთვის, რასაც იგი გუშინ გმობდა“, და დაასკვნის: „ასე გაამტყუნა ისტორიამ სოციალდემოკრატების გეგმები, აზრები, ლოზუნგები“.

ასე სწერს ბ. დადიანი ისტორიას ჩვენს შესახებ. რას ამბობს ის ფედერალისტების შესახებ?

„არჩილ ჯორჯაძე და მისი მიმდევრები გრძნობდნენ და ხედავდნენ, რომ ქართველი ერის სულში ღრმათ იყო ჩაქსოვილი ეროვნული თვითშეგნება, იგი მხოლოდ დაფერფლილი იყო და სწამდათ, რომ უეჭველათ იფეთქებდა და კიდევაც ასე მოხდა“-ო.

ამ, უკაცრავად პასუხია, ისტორიიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ბ-ნი ჯორჯაძე და მისი მიმდევრები ყველაფერს ხედავდნენ და გრძნობდნენ, ნ. ჟორდანია და მისი მიმდევრები კი ვერაფერს. ისტორიამ ფედერალისტები გაამართლა, სოციალდემოკრატებს კი სასტიკათ დასცინა. ერთი სიტყვით ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ეს ფედერალისტებს სურდათ, ისტორია მათი მონა-მოსამსახურე გამოდგა.

რასაკვირველია, ბ-ნ დადიანის ისტორია სწორეთ ასეთი უნდა ყოფილიყო. მარა, ჩვენ ვუცდით ნამდვილ, ჭეშმარიტ და მცოდნე ისტორიკოსს, და მაშინ გავიგებთ, ვის დასცინა ისტორიამ და ვინ გაამართლა. მანამდე კი არხეინათ შეგვიძლია გვერდი ჩავუაროთ ბ-ნ დადიანის იწილო-ბიწილოს და თუ აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გავაცნოთ ჩვენი მკითხველებისათვის ბ-ნ ფედერალისტების ტრაბახი და მათი მოწაფეებური ვარჯიშობა ისტორიის წერაში.

⁂

იგივე „სახალხო“ წინა ნომერში სახალხო გვარდიის გაუჯავრდა: რატომ გვარდიის წევრმა მონაწილეობა მიიღო სოციალდემოკრატიულ პარტიულ სასამართლოში, როგორც მსაჯულმა და კითხულობს: საინტერესოა ვიცოდეთ, რას ფიქრობს ამაზე მინისტრთა ცცაა და გვარდიის მთავარი შტაბი.

ფიქრობის იმას, რასაც ყველა სადა

დღეს

ფრანგული პრესის ცნობით აღმოსავლეთის საკითხი გადაწყდება ლონდონის თათბირზე.

ინგლისური წყაროებიდან მიღებული ცნობით ჩეხო-სლოვაკიის ჯარს კოლჩაკი ბოლშევიკებისთვის გადაუცია.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მილიერანის მთავრობას ნდობა გამოუცხადა 510 ხმით, 70 წინააღმდეგ.

მილიერანმა თავის დეკლარაციაში აღნიშნა, რომ საფრანგეთმა გერმანიისაგან ზარალის ანაზღაურება უნდა მოითხოვოს.

ომის კანონების დამრღვევთა სიაში 850 კაცი შედის.

ამერიკელ დემოკრატებისა და რესპუბლიკანელების მოლაპარაკება ვერსალის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ უშედეგოდ გათავდა.

გონების პატრონი ადამიანი. სახელდობრ იმას, რომ გვარდიელობა არ ართმევს უფლებას არავის რომ ის მენშევიკების პარტიის წევრი იყოს და მაშასადამე ისარგებლოს ყველა იმ უფლებებით, რომელიც აქვს ყველა სხვა პარტიის წევრს. ყველა მოხელეს, ყველა მოსამსახურეს, ყველა პროფესიის თავის პირდაპირი მოვალეობის გარეშე შეუძლია იყოს ამა თუ იმ პარტიის წევრი. მაშასადამე პარტიის დავალებაც იკარგება.

ნუ თუ ეს ასე ძნელი გასაგებია?

⁂

არც ბატონი ესერები გვტოვებენ უყურადღებოდ კბოთ და გაზეთ „ვოზროჟდენიაში" მოსთქვამენ იმაზე, რომ მათი მშვენიერი და ღრმა შინაარსიანი სიტყვები, წარმოთქმული დამფუძნებელ კრებაში, ჩვენ გაზეთში თურმე ან სრულიად არ იბეჭდება, და თუ იბეჭდება, სრულიად დამახინჯებულად. ნუ თუ ასე გულუბრყვილონი არიან ბ. ბ. რევოლუციონერები, რომ ჩვენ მოვალეთ გვხდიან მათი სიტყვები შეუმოკლებლათ ვბეჭდოთ! ამ მოვალეობას ჩვენ ვერ ვკისრულობთ და არც მიგვაჩნია სავალდებულოთ, თუმცა, ვინც თვალს ადევნებს ჩვენ გაზეთს, ის დაგვეთანხმება, რომ მათი სიტყვები საკმაო ვრცლათ იბეჭდება. რაც შეეხება დამახინჯებას—ეს დასაჯერებელი მათი მოჭორილია. რომ ყოფილიყო ასეთი რამ იქნება, უეჭველია, დაასახელებდნენ კონკრეტიულათ და თუ არ ასახელებენ—ეს იმიტომ რომ არაფერი არა ყოფილა რა. და მიუხედავად ამისა მათი სიტყვები დამახინჯებულათ ეჩვენებათ—ეს რა ჩვენი ბრალია. სარკის რა ბრალია—თუ სახე მახინჯია. ბრძანეთ კარგი სიტყვები და დაბეჭდილიც კარგი გამოვა. როცა ესერები ჩვენგან ითხოვენ მათი სიტყვების სავსებით დაბეჭდვას, საინტერესოა ვიცოდეთ—თვითონ, თავის გაზეთში, ბეჭდავენ კი სოციალ-დემოკრატ დეპუტატების სიტყვებს? ასეთ შემთხვევას ჯერ ადგილი არ ჰქონია. არც ერთი ს.-დ. ორატორის სიტყვა მათ არ დაუბეჭდავთ თავის გაზეთში და ჩვენ კი გვთხოვენ ესერების სიტყვები ვბეჭდოთ. არა, დიდი ახირებული ხალხი კია ჩვენი ესერები...

სოციალური შენიშვნები

სინდიკალიზმის მოძღვრება.

2

რევოლუციური სინდიკალიზმის კლასიკურ ქვეყნად ითვლება საფრანგეთი. ეს იმას, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ საფრანგეთში რეფორმისტული სინდიკალიზმი სრულებით არ იყოს. არც იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის სინდიკალურ მოძრაობაში არ იყოს მიმდინარეობა, რომელიც რეფორმისტულ თეორიას საზოგადოების გადახალისებისას უარყოფს და ამავე დროს ებრძვის რევოლუციურ სინდიკალიზმის თეორიას. ეს არის მიმდინარეობა სოციალისტური, რომელიც პოლიტიკურ პარტიასთან მჭიდრო კავშირის დამყარების მომხრეა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქ რევოლუციური სინდიკალიზმი გაბატონებულია პროფესიონალურ მოძრაობაში და მისი ორგანიზაცია, შრომის საყოველთაო კონფედერაცია, ყველაზე უფრო ძლიერი და ავტორიტეტიანი ორგანიზაციაა პროლეტარულ საფრანგეთში.

რეფორმისტული სოციალიზმი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მზადობიან ევოლუციას და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას ცდილობს რეფორმების თანდათანებური განხორციელებით. აქედან წარმოსდგება მისი გადაჭარბებული ყურადღება საპარლამენტო მოღვაწეობისადმი.

რევოლუციური სინდიკალიზმი, პირიქით, თითქმის სრულებით უარყოფს პარლამენტარიზმის მნიშვნელობას მუშა ხალხისთვის. ამ თითქმის სიტყვით ვლაპარაკობ, რომ თვით სინდიკალიზმში შეხვდებით სხვადასხვა ხვაობას ამის შესახებ. ბევრი სინდიკალისტი ანტი-პარლამენტარისტია, ბევრი კი გარეშე პარლამენტარისტი. ამაში კი, თეორიულად მაინც გვარიანი მოზრდილი განსხვავებაა.

სორელი, რომელიც სინდიკალიზმის მთავარ თეორეტიკოს-ფილოსოფოსათ ითვლება (ბოლოს ნეომონარქიზმის ქსელებში გადავა), პარლამენტარულ სოციალიზმს და დემოკრატიას საერთოთ აგდებულად ეპყრობა და უარყოფით ეპყრობა. მისი აზრით ჯერ კიდევ დასამტკიცებელია ამ პარლამენტარულ სოციალიზმის სარგებლობა პროლეტარიატის რევოლუციური მისიის შესრულებისათვის. ამის შემდეგ იგი თავისებურათ ამტკიცებს თუ რა გამოყენება და გამათახსირებელი გავლენა აქვს დემოკრატიის საარჩევნო სისტემას და პარლამენტარიზმს მუშათა კლასის შეგნებასა და მისი მოქმედების მოდრეკაზე. პარლამენტარული ანუ პოლიტიკური სოციალიზმი აჩვევს მუშებს დამოკიდებულ თანამშრომლობას სხვადასხვა სოციალურ ელემენტებთან. პარლამენტარული სოციალიზმი მათ ეტყვის და ლაპარაკობს იმდენ სხვადასხვა ენაზე, რამდენიც სხვადასხვა გვარის კლიენტები ჰყავს მას.

სინდიკალიზმის ერთი დიდ წარმომადგენელთაგანი ემილ პუჟე იმხედრებს პოლიტიკური ბრძოლის წინააღმდეგ, ამბობს—ჩვენი მიზნისთვის, სოციალური რევოლუციისთვის, ბრძოლის ყოველივე გადატანა პოლიტიკურ ნიადაგზე რაციონალური გზიდან გადახვევას მოასწავებსო. პარლამენტარული აგიტაციით და ხელმწიფების ხელში ჩაგდებით არაფერი გამოვა, კანონით და დეკრეტით სოციალური გადატრიალება არ მოხდებაო. აი რას ფიქრობს პუჟე.

გრიფუელი კი, ცნობილი სინდიკალისტი-სოციალისტი, ცოტა სხვანაირათ უდგება საკითხს. ის წერს: „სინდიკალური მოძრაობა საფრანგეთში არ არის პარლამენტის საწინააღმდეგო მოძრაობა, არამედ იგი გარეშე პარლამენტური მოძრაობაა. მისი მიზანია არავის არ სთხოვოს დახმარება და დამოუკიდებლათ იაროს თავის იდეალისაკენ. მაგრამ საფრანგეთში ეს მიზანი ჯერ კიდევ მიუღწეველია. აი ამიტომ სინდიკალისტები ისარგებლებდნენ პარტიის სამსახურით, რომ პარტია დაკმაყოფილდებოდეს მუშათა მოთხოვნების მაუწყებლის ანუ მომხსენებლის პატარა როლით". სოციალისტური პარტია, რომელიც არსებითად მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიაა, არ უნდა ცდილობდეს შეკავშირებულ პროლეტარიატს თავზე მოახვიოს თავისი პოლიტიკა. მუშა-მწარმოებლის ინტერესებს დემოკრატია ეწინააღმდეგება, თუმცა დემოკრატიული წყობილება აუცილებელი პირობაა სინდიკალური მოძრაობის განსავითარებლათ. დემოკრატიის პოლიტიკა, სხვათა შორის, იმაშიაც მდგომარეობს, რომ გაათანაბროს თავისი უფლება წარმოებაზე. ხოლო მუშები ერთნაირის მტრობით ეპყრობიან როგორც კერძო კაპიტალისტს ისე სახელმწიფოს კაპიტალისტს.

სინდიკალიზმის ნიშნობლივ თვისებათაგანია წმინდა პროფესიონალური—მუშური ხასიათი სოციალიზმისა. სინდიკალიზმი უარყოფს მუშების თანამშრომლობას ინტელიგენციასთან და კისრულობს მხოლოდ მწარმოებელთა დარაზმვას და შეკავშირებას. პროფესიონალური კავშირი—ეს მუშათა ორგანიზაციაა, რომელიც მხოლოდ მუშათა ინტერესებს იცავს და უძღვება. პროფესიონალური კავშირი მუშათა კლასის ციხე-დარბაზია, სადაც იწვრთნება მისი კლასიური შეგნება და ფოლადდება მისი ნებისყოფა ახალი სოციალური წყობილებისათვის. აქ ვითარდება უშუალოდ და ღრმავდება ნამდვილი კლასიური ბრძოლა შრომისა და კაპიტალს შორის, პროფესიონალური კავშირი პირდაპირი შთამომავალია ახალი საზოგადოების, წარმომშობია ახალი ფილოსოფიის, ახალი ზნეობის. იგი ერთსა და იმავე დროს მანიფესტაცია, სახეობაცაა მომავალი წყობილების და საშუალებაც ამ წყობილების დასამყარებლათ. სინდიკატი, სინდიკალური ბრძოლა სრულიად საკმაოა, რომ განხორციელდეს სხვების დაუხმარებლათ სოციალიზმის დიდი იდეალი. აქედან მომდინარეობს უყურადღებობა, გაბიაბრუება და ზოგჯერ პირდაპირ მტრობა სოციალისტურ პოლიტიკურ პარტიისადმი.

კლასთა ბრძოლის წმინდათ მაწარმოებელი ორგანო შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სინდიკატი, რომელიც ყოველდღიური მუშაობით და ბრძოლით აღვიძებს თავის რევოლუციურ შეგნებულობას ბურჟუაზიულ ქვეყნის მიმართ. სინდიკატი იარაღია პროლეტარიატის რევოლუციური ძალმომრეობისა, რომელიც ამაღლებს და აგზნებს პროლეტარიატს. სინდიკალური მოძრაობის მთავარი ტაქტიკური ფილოსოფია არის პირდაპირი მოქმედება—action directe. ეს არის პირდაპირი უშუამავლო დაუცხრომელი ბრძოლა როგორც კერძო ნაწილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, ისე საბოლოოთ განსათავისუფლებლათ. ამ ბრძოლას ხატავს ყველაზე უფრო მკაფიოთ და შეუფერხებლათ გაფიცვები, ბოიკოტი და სხვა ძალდატანებითი გამოსვლები მაგრამ გაფიცვაც არის და გაფიცვაც. სინდიკალიზმი თავის ყოველდღიურ ეკონომიურ ბრძოლაში ემყარება ნაწილობრივ გაფიცვებს და ბრძოლის სხვა ფორმებს, რომლებიც მუდამ აღვიძებენ რევოლუციურ უნარს და ენტუზიაზმს მასსაში, მაგრამ მას ხელთ აქვს აგრეთვე უძლიერესი იარაღი ანარქისტებისაგან ადრე ვე მოწონებული და მიღებული—საყოველთაო გაფიცვა. პ. ლუი ასე აწერს სინდიკალისტების საყოველთაო გაფიცვას: „ერთს ადრევე დანიშნულ დღეს მუშები სწყვეტენ მუშაობას, ხელს იღებენ თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილების საუკუნოთ გამამტკიცებელ ექსპლოატაციის მხარის დაჭერაზე და მით ძირს უთხრიან ამ წყობილების უმთავრეს საფუძვლებს. მათ აღარ სურთ მეტი იმუშაონ პატრონატისთვის, მსხვილ ანონიმურ საზოგადოებათათვის, ისინი სპობენ თანამედროვე ეკონომიურ ბატონობას, მილიონთა ჩაგვრასა და ჟლეტას ერთი მუჭა მუქთა ხორის სასარგებლოთ, ამასთან ერთად ისინი სპობენ აგრეთვე სახელმწიფოს, როგორც სისტემას, რომელიც განუყოფლათ შეერთებულია ამ ბატონობასთან. მთელი ქვეყნის მოქმედების შეჩერებიდან წარმოების საშუალებათა სოციალიზაციამდე არის კიდევ ერთი ნაბიჯი. სინდიკალიზმი ამ უკანასკნელ საქმეს უყურებს, როგორც ყველაზე უფრო საიმედოს" („სინდიკალური მოძრაობის ისტორია საფრანგეთში", რუსულად, თ. 14) პ. ლუი ქვევით უმატებს: საყოველთაო გაფიცვა პროლეტარიატისთვის წარმოადგენს იმავე, რასაც ევროპის ბურჟუაზიისთვის ოთხმოცი წლის წინათ წარმოადგენდა კონსტიტუციურ-პარლამენტარული წყობილება. პარლამენტარული რეჟიმი იყო თითქოს რევოლუციის დაგვირგვინება. საყოველთაო გაფიცვა თავის თავად არის რევოლუცია ან რევოლუციის გადამწყვეტი საშუალება. ასეთია სინდიკალისტური შეხედულება.

უნდა ითქვას, რომ საყოველთაო გაფიცვას სინდიკალისტურ წრეებში ყველა ერთნაირათ არ უყურებს. ზოგიერთისათვის იგი, რაღა თქმა უნდა, რეალური შესაძლებლობაა. მაგრამ სორელი და მისი ამყოლნი მას თვლიან სოციალურ მითად, რომელიც პროლეტარიატს უნდა სწამდეს და ამ რწმენით აღფრთოვანებული უნდა მიდიოდეს ის წინ მითოლოგიურ გამათავისუფლებელ გაფიცვისაკენ. თავისთავად საყოველთაო გაფიცვა მოხდება თუ არა სინამდვილეში, ამას არ კითხულობს სორელი. მან უნდა შექმნას მითი, აღძრას მასიური რწმენა, კოლექტიური იმედი და სასოება, რაღაც სოციალურ-სარწმუნოებრივი ექსტაზი მომავალი სოციალურ-რევოლუციისათვის როგორც ხედავთ ეს უფრო სოციალურ საკვირველთ მოქმედებაა, უნიადაგო წინასწარმეტყველებაა, პირწავარდნილი უტოპიზმია. და გვიკვირს ყოველივე ამას როგორ ათავსებს იგი ნეომარქსიზმთან, რომლის სახელწოდებით ნათლავს ხოლმე თავის სოციალოგიურ მსოფლმხედველობას. მაგრამ ეს სხვათა შორის.

სინდიკალიზმი გამოდის რა კლასთა ბრძოლიდან, მიდის იმ დასკვნამდე, რომ არავითარი შერეულ პოლიტიკურ დაწესებულებაში და საჯარო—ადგილობრივ ორგანოში მონაწილეობა დასაშვები არ არის პროლეტარიატისთვის, რომელიც მხოლოდ სინდიკატებში, შრომის ბირჟებში და მათ გაერთიანებულ კავშირებში უნდა გაძლიერდეს და აქედან დალახვროს კაპიტალისტური წესწყობილება სინდიკალურათ გაერთიანებული პროლეტარიატი ერთი ქვეყნის შრომის საყოველთაო კონფედერაციის სახით უერთდება იმგვარადვე გაერთიანებულ პროლეტარიატს სხვა ქვეყნებისას და ამ ნაირათ იქმნება სინდიკალისტური ინტერნაციონალი. ასეთი ინტერნაციონალის შექმნისაკენ საფრანგეთის რევოლუციური სინდიკალიზმი ყოველთვის ილტოდა.

სინდიკალიზმი უარყოფს ყოველივე სავალდებულო დაწესებულებას, მაგ. სამედიატორო სამართლის დაარსებას შრომის და კაპიტალის წარმომადგენელთა შორის. მას მიაჩნია ასეთი დაწესებულებანი კლასთა ბრძოლის შემაფერხებელ ფაქტორად და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფების დამაახლოვებელ გზად და ხიდად, რაც ჩრდილავს მებრძოლ პროლეტარიატს.

ამ თვალსაზრისიდან ბუნებრივია ის უნდობლობა, ის მტრული განწყობილება სახელმწიფოსადმი (სულ ერთია როგორიც უნდა იყოს იგი—მონარქიული, ბურჟუაზიული თუ დემოკრატიული), რომელიც სთესავს რევოლუციურ სინდიკალიზმს. ამიტომაც ასე უყურებიან სინდიკალისტები ყოველ სახელმწიფოებრივ ჩარევას შრომის და კაპიტალს შორის კონფლიქტების მოსაწესრიგებლათ.

სოციალდემოკრატია ფიქრობს პოლიტიკურ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, სახელმწიფოს დაპყრობას, რათა გაბატონებულთ გამოგლიჯოს ხელიდან პოლიტიკური ბატონობის უძლიერესი იარაღი და გამოიყენოს იგი მაშვრალი საზოგადოების განთავისუფლებლათ, ამას ვერ შეურიგდება სინდიკალიზმი, რომელიც სახელმწიფოს დანგრევას ფიქრობს და არა მის დაპყრობას. დანგრევას არა შიგ შესვლით, ძალა უფლების გამოყენებით, არამედ გარედან, სინდიკატიდან. სინდიკალიზმის იდეოლოგთა შორის დაცალიერების თეორიამაც მოიკიდა ფეხი. სახელმწიფო თავისთავად დაცალიერდება, გამოიფიტება, მოკვდება, რადგან სინდიკატი ხდება ყველა აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებათა დამაკმაყოფილებელ ცენტრად. სინდიკატი იკავებს სახელმწიფოს ადგილს. სინდიკატი სახელმწიფოა სახელმწიფოში. სინდიკატი მოკლავს სახელმწიფოს. ეს არის სინდიკალიზმის სიმბოლო სარწმუნოებისა.

აღსანიშნავია სინდიკალიზმის მძულვარება საზოგადოთ დემოკრატიზმისადმი. ეს მძულვარება მათ ისესხეს, როგორც ბევრი რამ სხვა, ანარქისტებისაგან, რომლებიც ყოველთვის რიცხვს, უმრავლესობას უცხადებდენ ომს და უარყოფდენ არჩევნებს. ამაში მათ ძალიან უახლოვდებიან სინდიკალისტები, რომლებიც ქება დიდებას ასხამენ აქტიური უმცირესობის რევოლუციურ თაოსნობას.

მოსახსენებელია უთუოდ ისიც, რომ სინდიკალიზმი, როგორც ასეთი, ანტიპატრიოტული და ანტიმილიტარისტულია. ომამდე მაინც საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაცია, სინდიკალიზმის უდიდესი პოლიტიკური აგენტი, უკიდურესობამდე ავითარებდა როგორც თავის ანტიპატრიოტიზმს, ისე თავის ანტიმილიტარიზმს. რევოლუციურ სინდიკალისტებისთვის მხოლოდ სოციალური სამკვიდრებელი არსებობს, ნაციონალური სამშობლო და სხ. ეს ყოველივე ბურჟუაზიული მოგონებაა, რომელსაც მხოლოდ უნდა ვებრძოლოთ. ასე აზროვნებენ არა მარტო სინდიკალისტები და ანარქისტები, არამედ ბევრი სხვა ძველი და ახალი თაობის სოციალისტებიც, რომელთაც ვერაფრით ვერ მოეხერხებიათ ორგანიული შეერთება, დემოკრატიული შეთავსება სამშობლოსი და კაცობრიობის, ნაციონალურის და ინტერნაციონალურის, ერის და დემოკრატიის. ჩვენი საკუთარი დემოკრატიის განვითარების ისტორიამაც წარმოშვა ეს ყალბი შეხედულება, რომელიც შემდეგ ძლეულ იქნა ომის და რევოლუციის მსვლელობის დროს თვით ხალხის მიერ.

ნ. ხაქარელი.

უკანასკნელი ცნობები

აჯანყება შავი ზღვის გუბერნიაში.

გაგრიდან ჩვენი კორესპონდენტი შემდეგს გვატყობინებს შავი ზღვის გუბერნიაში მომხდარ აჯანყების შესახებ

ღამით, 27 იანვრიდან დაიწყო ბრძოლა მოხალისეთა წინააღმდეგ. ამავე ღამეს აჯანყდნენ ხოსტაში, ადლერში, პლასტუნკაში და სხვაგან. თვით სოჭში ერთი როტა აჯანყდა, მაგრამ ვინაიდან მცირე რიცხოვანი იყო, სოჭი დასტოვა და მთებში შეუერთდა აჯანყებულთ. 28 იანვარს, აჯანყებულებმა გაარღვიეს ფრონტის მარჯვენა ნაპირი და დაიჭირეს შილოვის ქედი; ამ დღეს აჯანყებულთ მიერ ხელთ იგდეს მოხალისეთა ორი როტა. მეორე ღამით აჯანყებულებმა შეუტიეს მტერს მოლდოვკის ხიდზე, სადაც ბრძოლამ მეორე დღესაც გასტანა. 29 იანვარს, აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა საქართველოს ფრონტის წინააღმდეგ მდგომი ბატალიონი, ამან გადასწყვიტა ადლერის ბედი და მოხალისეთა ფრონტიც მოიშალა. მათი ჯარების ნაწილები ყოველ დღე უერთდებოდნენ აჯანყებულთ. დილით აჯანყებულნი შევიდნენ ადლერში და დაიჭირეს მოხალისეთა ოფიცრები და არტილერიას სოჭის მიმართულებით, და რადგანაც, ხოსტა აჯანყებულთა ხელში იყო, მოხალისენი მთელი დღე არტილერიით იბრძოდნენ გზის გასარღვევად, ხოსტას აჯანყებულებს დროზე ვერ მიეშველნენ აჯანყებულთა რაზმები და მოხალისეებმა შესძლეს გზის გაკაფვა, მაგრამ დასტოვეს ორი ზარბაზანი და „ობოზი". მოხალისეებს ხოსტაში გზის გარღვევა გაუადვილა სოჭიდან მოსულმა მაშველმა ბატალიონმა, იმავე დღეს აჯანყებულებმა სრულიად გასწმინდეს კუდეპსტის და ხოსტის მიდამოები და გამაგრდნენ ხოსტიდან სამი ვერსის მანძილზე. აქედან დილით აჯანყებულთა რაზმები წავიდა მაცესტას მიმართულებით და ხოსტიდან 12 ვერსზე გაიარეს მიდამოები [illegible] მღვიმე. 12 საათიდან 4 საათამდე ცხარე ბრძოლა სწარმოებდა, მოხალისენი უშენდნენ აჯანყებულთ არტილერიიდან, მიუხედავად ამისა, აჯანყებულებმა მარჯვენა ფლანგიდან შესძლეს მაღლობების დაკავება.

აჯანყებულთა მიერ დაკავებულ ადგილებში კარგი წესრიგია, არ ყოფილა შემთხვევა ძარცვა გლეჯისა და თვით გასამართლებისა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ერთი ბატარეა 4 ზარბაზნით, 20 პულემიოტი, დიდძალი პატრონები, ტანსაცმელი და „ობოზი".

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

2 თებერვალი

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. იან. 31. პრესის მიმოხილვა. ურალის ფრონტის ლიკვიდაციის გამო „იზვესტია" მრავალ საინტერესო ცნობებს იუწყება ურალის რაიონის ნავთიან ადგილების შესახებ.

1919 წლის დასასრულს ბერლინში შესდგა არალეგალური მუშათა წარმომადგენლების საერთაშორისო ყრილობა. დაესწრნენ გერმანიის, რუსეთის, ავსტრიის, პოლონეთის, ჩეხიის, შვეციის, ნორვეგიის, დანიის, შვეიცარიის და სხვა წარმომადგენლები. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 219 ათასი შეკავშირებული არალეგალური მუშა. სმოლენსკი. იან. 31. პოლონეთიდან მოვიდა 50 კომუნისტი, რომელნიც პოლონეთის ციხეებში იჯდენ და ხელშეკრულების თანახმათ განთავისუფლებულნი არიან. მოსკოვი. იან. 2 პოლონური გაზ. „მინსკი კურიერი" იუწყება საქართველოში ბოლშევიკური აჯანყების შესახებ. თფილისში და ქუთაისში ძალა-უფლება გადავიდა კომუნისტების ხელში. ციმბირში რევოლუციონური მოძრაობა იზრდება.

რეველი. 28 იან. ინგლისიდან მოსული ცნობებით, მთავრობაში მუშათა პარტიის დანარჩენ სამი წევრის გადადგომას მოელიან. რეველი. 28 იან. ინგლისის გაზეთებში გამოქვეყნებულია მუშათა პარტიის წევრების და პროფკავშირების მანიფესტი, რომელიც მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან დაუყონებლივ ზავის შეკვრას. რეველი. 29 იან. ხარბინიდან მოსული ცნობით ბოლშევიკებმა უსურიის ნიკოლსკი აიღეს. ბლაგოვეშჩენსკიც რევოლუციონერების ხელშია. მოსკოვი 31 იან. სამხედრო ცნობა. ნარვის რაიონში ჩვენ 100 მეტი გამოქცეული მივიღეთ. რეჟიცის რაიონში მდინარე სინიის რაიონში მკაცრი ბრძოლა გრძელდება. მოზირის რაიონში ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა. სტარო-კონსტანტინოვკას მიმართულებით ბერდიჩევის დასავლეთით ოთხმოცდა ხუთ ვერსზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პროსკუროვის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. ელისავეტგრადის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც ნოვომირგოროდის სამხრეთით, უტევდა დაბა გლოდასი და რამდენიმე სოფელი აიღეს. ჩვენმა ჯარმა ვოზნესენსკი აიღო. როსტოვის სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსზე ბრძოლის შემდეგ ავიღეთ ობუხოვსკი და ელიზავეტოვკა. კრასნოვოდსკის რაიონში მზვერავების მცირე შეტაკებაა. ქანსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა ნიჟნეუდინსკი აიღო. შეშინებული მტერი იხევს აღმოსავლეთის მიმართულებით

მოსკოვი თებ. 1. სახალხო კომ. საბჭოს დეკრეტის გამო, ყოველგვარი კოოპერაციის გაერთიანების შესახებ „პრავდა"-ს მოწინავე სწერს: „კაპიტალისტური საზოგადოების მეურნეობას აწარმოებს თვითეული მწარმოებელი თავის სურვილზე, სოციალისტური საზოგადოების წარმოება უნდა ხდებოდეს ერთ გეგმაზე აქედან გამომდინარეობს ქვეყნის მთელი წარმოების ხელმძღვანელობის ერთ ორგანიზაციაში გაერთიანების აუცილებლობა. მხოლოდ მრეწველობაში ამას ასრულებს სახალხო სამეურნეო საბჭო. წვრილი დაწესებულებები, რომელიც სასოფლო სამეურნეო დარგში მუშაობდენ, გაერთიანებული იყვნენ ამდენ ხანს კოოპერატიულ კავშირებში. სოციალისტური აღმშენებლობის ინტერესები მოითხოვს, რომ ყველა ეს კავშირები ეხლა გაერთიანდნენ ერთ ორგანიზაციაში. რომ ვალი საქონლის გაცვლა-გამოცვლას, რომელიც მთელი ქვეყნის ინტერესებს ეხება, ჩვენ ვერ ჩავაბარებთ წვრილ საწარმოო ცალ-ცალკე ორგანიზაციებს. საქონლის გაცვლა გამოცვლა უნდა იქნეს სახელმწიფოს ხელში, თვითეული მუშა, გლეხი დაინტერესებულია, რომ შიგნით ქვეყანაში მოისპოს სპეკულიაცია და დაწესდეს ნორმალური საქონლის გაცვლა გამოცვლა. ისინი აგრეთვე დაინტერესებული არიან, რომ მოისპოს დავა მომხმარებელ და მწარმოებელ ორგანიზაციათა შორის. ისინიც და სხვებიც, გამოქვეყნებული დეკრეტი აღნიშნავს უნდა შეერთდენ კოოპერატივთა ერთ ცენტრ-კავშირში. მომხმარებელი კოოპერაცია, რომელშიც ეხლა სასოფლო სამეურნეოც შევა. დიდ როლს თამაშობს და ამით არის ჩვენი პარტიისთვის საინტერესო შემოვიერთოთ ეს ორგანიზაციები დავნიშნოთ გამგეობაში, რაც შეიძლება მეტი რიცხვი კომუნისტებისა".

ჩვენი რკინის გზის ტრანსპორტის მდგომარეობის გამო სახალხო სამეურნეო საბჭოს ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგია ნათქვამი:" რკინის გზის მეურნეობის აღდგენის ერთ ერთი მთავარი საშუალებაა მართველობის საქმეში მუშათა ფართე ჩარევა და ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალსა და მწარმოებელ კავშირებს შორის ნორმალური დამოკიდებულების დადგენა. უკანასკნელში გატარებული უნდა იქნეს შრომის რკინის დისციპლინა ერთპიროვნების ცენტრი და რკინის გზის ტრანსპორტის გადარჩენა ძველ რკინის გზის შესაკეთებელ სახელოსნოების აღდგენაში და ახალ ქარხნების გაწყობაში.

ფრანგული პრესის ცნობები

პოლესიის სექტორში, ამ 3 დღის განმავლობაში პოლონელებმა ხელთ იგდეს 5 ზარბაზანი თავისი მოწყობილობით, 12 მიტრალიეზა, 120 ტყვე, 60 ცხენი, 3 მოძრავი სამზარეულო 1 პარკი და ინსტრუმენტები.

ინგლისური წყაროდან გამოგზავნილ დეპეშის თანახმათ ჩეხო-სლოვაკიის ჯარებს კოლჩაკი ბოლშევიკებისთვის გადაუციათ. ამის გამო მილერანმა პასუხი მოსთხოვა ჟანენს.

გაზეთები ირწმუნებიან: ლონდონში მომხდარ „სამის" სხდომაზე საბოლოოდ პრინციპიალურად გამორკვეული იქნება აღმოსავლეთის საკითხი. რაც შეეხება ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას—ეს მოხდება პარიზში.

პარასკევს, დეპუტატთა პალატაში დიდი პოლიტიკური კამათი იყო მთავრობის საერთო პოლიტიკაზე, რომლის შესახებაც განცხადება გააკეთა მილიერანმა. პალატამ და სვა საკითხი მთავრობისადმი ნდობის შესახებ და 510 ხმით 70 ის წინააღმდეგ მას ნდობა გამოუცხადა.

ბრიუსელიდან იუწყებიან: სულ ცოტა ხანში გამოცემული იქნება მეფის ბრძანება სასტიკი სასჯელის შესახებ, რათა ბოლო მოეღოს ფულების სპეკულიაციას.

ციურიხის „ახალი გაზეთი" სწერს: საზავო კონფერენციის თავმჯდომარემ ერთა ლიგის საბჭოს მიანდო შვეიცარიის ნეიტრალიზაციის საკითხის გარჩევა; საქმე იმაშია, რომ შვეიცარიის ტრადიციულ ნეიტრალობას მისცენ ისეთი ფორმა, რომელსაც არ შეეძლება ერთა ლიგის სხვა წევრებისათვის ისეთი პრეცენდენტის შექმნა, რომ იმათაც, ისე როგორც შვეიცარიამ სამხედრო ნეიტრალიტეტი მოითხოვონ.

მილიერანმა თავის დეკლარაციაში სთქვა: მე ვფიქრობ, რომ სამინისტრო უნდა წარუძღვანო ისე, როგორც კომერციული დაწესებულება, რომელსაც არ შეუძლია თავისი პროგრამა დაისახოს თუ მან წინდაწინვე არ იცის თავისი ქონების ბალანსები. ის მომხრეა მოითხოვოს გერმანიისაგან ზარალის ანაზღაურება.

კაბინეტის შინაურ საერთო პოლიტიკის შესახებ პალატაში და სენატში კამათის შესახებ გაზ. „ობ ლიბრი" სწერს: ამ უშინდელმა სხდომამ საჯაროთ დაადასტურა ის ფაქტი, რომ კლემანსოს პოლიტიკა კვლავ პირველ რიგში იქნა წამოყენებული.

ომის კანონების დარღვევაში დამნაშავეთა სია არ იქნება შემოკლებული. განსაზღვრულია 850 კაცი, მათ შორის გენერალი სანდერსი, რომელსაც ბრალად ედება ქლეტა აღმოსავლეთში. სიას 10 თებერვალს გადასცემენ.

ამერიკელ დემოკრატებისა და რესპუბლიკელების მოლაპარაკება ვერსალის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, უშედეგოთ გათავდა ხელშეკრულების მე 10 მუხლის შენიშვნის მიუღებლობის გამო.

ახალი ამბები

† გიორგი იზხნელი გორში გარდაიცვალა მსახიობი გიორგი იზხნელი.

◆ სამხედრო მინისტრმა გრ. ლორთქიფანიძემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გაგრაში გენ. ართმელაძეს: „როგორც მიღებული ცნობებიდან სჩანს სოჭის ოლქში მომხდარი გლეხთა აჯანყება დიდი იზრდება. ვბრძანებ, რათა დაიცვათ უსასტიკესი ნეიტრალიტეტი და მოახდინოთ ფხიზელი დაცვა ჩვენი საზღვრებისა. ეცადეთ დაწვრილებით გაიგოთ საქმის ვითარება და ყველაფერი დროზე მომახსენოთ".

◆ გაზეთის დახურვა შინაგან საქმეთა მინისტრის ამ ნაგის დადგენილებით დაიხურა სომხური გაზეთი „პ აკი" საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წერილების მოთავსებისთვის რედაქცია და სტამბა დაბეჭდეს.

◆ ხონაკის მაზრას ეწვია შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, დაათვალიერა სასწავლებლები და საზოგადო დაწესებულებები, გაეცნო მაზრის მდგომარეობას უმთავრეს რაიონებში. გააკეთა მოხსენება საქართველოს თანამედროვე მდგომარეობაზე. ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა მინისტრის ხა-

მოსვლას. 1 თებერვალს ის გაემგზავრა ზუგდიდის მაზრისაკენ.

◆ **ბათუმის მეჯლისის** თავმჯდომარე მემედ-ბეგ-აბაშიძე თფილისში ჩამოვიდა.

◆ **მუშათა მაგიდის** სახარათო განყოფილებამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთმა პირებმა რამოდენიმე ადგილას ჩაიწერეს თავი და რამოდენიმე ბარათი მიიღეს. მუშათა მაგიდა აფრთხილებს ასეთ პირებს, რათა 10 თებერვლამდე თითონ დაუბრუნონ ბარათები მუშათა მაგიდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამოიშლებიან მუშათა მაგიდიდან და ბარათებს ვერ მიიღებენ.

◆ **დ. კლდიაშვილის** საიუბილეო კომისიის სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 7 საათზე, მწერალთა კლუბ „ქიმერიონში".

სურსათისა და მომარაგების შრომის სამინისტრო, აცნობებს რომ მუშა-მოსამსახურეები რომლებმაც მიიღეს სასურსათო ბარათები უნდა მიეწერონ თფილისის ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილებას, მომხმარებელ საზოგადოება „ალორძინებას", ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლობითი საზოგადოების და აგრეთვე ეკონომიურ საზოგადოების ერთ-ერთ დუქანს. ან უნდა გაერთიანდენ ჯგუფებით სურსათის მიღებით. მისამართი ცალკე გამოცხადდება.

— მუშა-მოსამსახურეთათვის ბარათების მ სისტემით სიების წარდგენა უკვე დამთავრდა. დღეისთვის, თფილისში ჩაწერილია 50 000-ზე მეტი კაცი.

◆ **ზუგდიდიდან** იტყობინებიან, რომ ქალაქში გაუძარცვავთ კოპერატივი „ვარსკვლავი". წაღებულია 200 000 მანეთის საქონელი. დატუსაღებულნი არიან ჯაჯუა და სორდია, რომელთაც აღმოაჩნდათ წაღებული საქონელი.

◆ **ტრამვაის პარკში.** სამშაბათს, 3 თებერვალს საღამოს 5 ს. შესდგება საზოგადო კრება ვაგზლის (ტრამვაის) რაიონის სახალხო გვარდიელებისა. განსახილველი: 1) მოხსენება შტაბის, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) ახალი არჩევნები შტაბის და სხვა.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, როგაჩევსკის ბენეფისი „ქეთო და კოტე", ოთხშაბათს 4 თებერვალს დავითაშვილის მონაწილეობით „სევილიელი დალაქი" და ერთი აქტი „ბორის გოდუნოვიდან".

◆ **საფუთო გადასახადი.** თელავის, სიღნაღის, ოზურგეთისა და გორის სამაზრო ერობებმა შუამდგომლობა აღძრეს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე, რათა მათ ნება მიეცეს საფუთო გადასახადის შემოღებისა.

◆ **თ. მთავრიშვილის გამოცემანი.** იბეჭდება და ამ რამოდენიმე დღეში გამოვა გასაყიდათ „სიტყვიერების თეორია", შედგენილი კათალიკოზ კირიონი II და გრ. ყიფშიძის მიერ და კაზმულ სიტყვიერების ქრისტომატია „ჩვენი მწერლობა" წ. IV ს. გორგაძის მიერ შედგენილი და აკაკის „თამარ ცბიერი".

◆ **ახალი ჟურნალი.** დღეს გამოვა მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესის საბჭოს მიერ გამოცემული ჟურნალი „ვენახი და ღვინო".

◆ **ახალი კვალი.** 25 იანვარს გამოვიდა საქ. ახალგ. მარქს. ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის ორგანო „ახალი კვალი", № 1. ჟურნალში მოთავსებულია, წერილები: საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, ლიტერატურაზე (მეთოდები ლიტერატურაში), მარქსიზმის ფილოსოფიაზე, კონფერენციის ანგარიშები, ორგანიზაციის ცხოვრება და სხვ. ჟურნალი შინაარსიანია და ღირს 5 მან.

◆ **„ცისარტყელა".** გამოვიდა სალიტერატურო ჟურნალი „ცისარტყელას" პირველი ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები: ს. აბაშელის, ხარიტონ ვარდოშვილის, იასამ ნის, ოპოლი მუშის, ვ. რუხაძის და გ. ქუჩიშვილის. მოთხრობები: შიო არაგვისპირელის და დ. თურდოსპირელის. კრიტიკული წერილები: აკ. პაპავას და ვ. ხუროძის. ჟურნალი დაბეჭდილია სუფთა ქაღალდზე და ღირს 15 მანეთი.

◆ **მადლობა.** გარდაცვლილ ანა [illegible] ასულის [illegible] გვირგვინის მაგივრად მოსე ანტონის ძე და მიხეილ ივანეს ძე კალანდარიშვილებმა შემოსწირეს წმ. თელ ჯვართან არსებულ ბავშვთა თავშესაფარს სამასი მანეთი ([illegible]), რისთვისაც ხსენებულ ბავშვთა თავშესაფრის ქალთა კომიტეტი უცხადებს მათ მადლობას. კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნაკაშიძე.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** საბჭოს, გამგეობის და ლექტორთა კოლეგიის კრება 1 თებერვალს არ შედგა რადგანაც არ დაესწრო არც ერთი საბჭოს წევრი. არ იყვნენ სარევიზიო კომისიის წევრებიც და ლექტორთაგან და გამგეობის წევრთაგანაც ცოტანი მოვიდნენ. მეორე კრება მოხდება კვირას თებერვლის 11 საათზე.

დღეს, 3 თებერვალს წაიკითხავენ ლექციებს: ნაძალადევში (1 უბანი) 1) გ. შალამბერიძე—„ქიმია", 2) ქრ. რაჭველიშვილი „სოციალ. ბრძოლა ძველ რომში"; 3) ილ. ნაკაშიძე: „აღზრდა-განათლების უმთავრესი საკითხები".

ჩუღურეთში (3 უბანი) 1) ალ. წერეთელი—„ისტორია" და 2) ექ. ცეცხლაძე „საუბარი ჯანმრთელობაზე".

ვერის უბანში (6 უბანი) 1) დ. ასათიანი—„საფრანგეთის რევოლუცია" და 2) ი. ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები".

ცენტრში (პლეხანოვის პრ. № 123) 1) ექ. ტურიაშვილი—„ჰიგიენა" და 2) გ. ბარნოვი—„ქართული მწერლობა".

უცხოეთი

რუსეთი

აჯანყებები „დობროვოლიაში". „მოხალისეთა" ფრონტზე დამარცხებისა და სხვა მრავალგვარ მიზეზების გამო აჯანყებებმა ყუბანში ამ უკანასკნელ ხანებში ფართო ხასიათი მიიღო. „მოხალისეთა" სარდლობამ ფრონტიდან გამოიწვია გენ. შკურო აჯანყების ჩასაქრობად. დენიკინს სათადარიგო ძალები არა ჰყავს. ჯარში გაიწვიეს მღვდლებიც, რომლებიც საგარნიზონო სამსახურს ასრულებენ. ჩრდილო კავკასიაში დენიკინელებმა დეზერტირობა დაიწყეს. „მოხალისეთა" ჯარისკაცები ხშირად ყრიან იარაღს და გარბიან. ნაწილი მიეშურება სახლში, ნაწილი—„მწვანე არმიელებს" უერთდება.

კოცევის გეგმები. გაზ. „ვოლნი გორეც"-ის ცნობით კავკასიელ მთიელთა სფეროებში თავი იჩინა მიმდინარეობამ, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული მთიელთა მთავრობის მოწყობა. ამ მიმდინარეობას სათავეში უდგას პშემახო კოცევი, რომელიც მთიელთა ყოფილ მთავ. თავმჯ. იყო და „მოხალისეთა" სხვა მოღვაწენი. [illegible] არიან მისი კოლეგები—გენ. ხალილოვი, ტარკოვსკი; ბუგაევი და სხ. მოსალოდნელია, რომ „მოხალისენი" მალე დასტოვებენ თერგის ოლქს.

დაღესტანი

თათბირი კარუმ-კენტში. „ვოლნი გორეც"-ის ცნობით: სოფ. კარუმ-კენტში მოხდა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ დაღესტანისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები და ოსმალეთის ფაშები. თათბირის მიზანს შეადგენდა დაეთანხმებია დაღესტანელები აზერბაიჯანთან შეერთებაზე. მაგრამ, ასეთი გეგმები ჩაიშალა; დაღესტანელებმა ასეთ წინადადებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს; ისინი მომხრენი არიან მთიელთა დამოუკიდებელ რესპუბლიკისა, რომელშიაც თერგის ოლქიც უნდა შედიოდეს. კეთილ მეზობლურ დამოკიდებულებას აზერბაიჯანთან დაღესტანი დაამყარებს, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

სოფ. გუბდენის განადგურება. თუ როგორ სიმხეცეს იჩენენ მოხალისენი დაპყრობილ ადგილების მიმართ, შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ ბედით, რომელიც სოფ. გუბდენს ეწვია. ეს სოფელი დიდი და მდიდარი იყო, 2.500 კომლით. შესვლისთანავე მოხალისეები შეესიენ მეჩეთებს; ორი იმათგანი დასწვეს, უმთავრესი მეჩეთი გაძარცვეს; გაიტანეს 18 ურემი ნოხები. სასულიერო წიგნები დახიეს. გაძარცვეს და დაარბიეს შენობების უმრავლესობა. საერთო ზარალის რაოდენობა 200 000 000 მან. უდრის.

ოსმალეთი

ოსმალეთის საკითხისათვის. გაზ. „ომლიბრ"-ის ცნობით ლლოიდ ჯორჯი და ლორდ კერზონი იზიარებენ საფრანგეთის პროექტს ოსმალეთის შესახებ, რომლის თანახმადაც ხალიფატი კონსტანტინოპოლში უნდა დარჩეს, ხოლო სრუტეები ნეიტრალურად უნდა იქნეს გამოცხადებული. ოსმალეთის საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტა, როგორც ამბობენ, მარტამდე გადაიდება.

უნგრეთი

თეთრი ტერორი. შვეიცარიის პრესა ათავსებს ცნობებს თეთრი ტერორის შესახებ, რომელიც უნგრეთში მძვინვარებს მონარქისტების გამარჯვების შემდეგ. ვენიდან მოსული ცნობებით ბუდაპეშტში და სხვა ადგილებში 500-მდე კაცი მოუკლავთ. ჰკლავენ არა მარტო ისეთებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა მთავრობაში და მის რაზმებში, არამედ—ისეთებსაც, ვინც მათ წინააღმდეგ იბრძოდა. უნგრელ სოციალისტებმა მოწოდებით მიმართეს ჩეხო-სლოვაკიისა და ავსტრიის სოციალისტებს, რათა მათ მიიღონ ყოველგვარი ზომები ამ სისხლის ღვრის წინააღმდეგ. ასეთივე თხოვნა გაუგზავნა ბუდაპეშტში მყოფ იტალიის მისიასაც.

ამხ. ნიკო ოთარაშვილის ხსოვნას

1907 წელს ბრწყინვალე რუსეთის რევოლუციაზე გამარჯვებულმა შავბნელმა რეაქციამ ბათუმიდან იძულებული მყო თფილისს ვსტუმრებოდი. ცხოვრების ულმობელმა კანონმა ხელდახლა მარგუნა ერთ-ერთი გაზეთზე მუშაობა, რომელიც თფილისში გამოდიოდა „ამირანის" სახელწოდებით. ჩემი სული თხოულობდა სწორედ ისეთ ადამიანებთან მოხვედრას, რომელიც ჩემს სულიერ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდნენ და საერთო [illegible] შეებრძოლებოდნენ იმ უკულმართობას, რომელიც იმ დროს იყო გამეფებული. მე სურვილები თითქმის ამისრულდა. მე შევხვდი იქ ორ ამხანაგს—ნიკოს და პეტრე [illegible], რომლებიც საუკეთესოდ ემსახურებოდნენ მუშათა კლასის იდეალებს... პეტრე და ნიკო—ეს ორი არსება იყო, არსება განუყრელი, მაღალი იდეებით მოაზროვნე, პრაქტიკული მუშაკები, რომლებიც სიცოცხლეს და ენერგიას მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის იდეალებს სწირავდნენ; და ეს იმ დროს, როდესაც ყოველივე ახალი, პროგრესიული აზრი იდევნებოდა, ცხრა-კლიტულში იწყვდეოდა, იჩაგრებოდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ამხანაგი თავის გვერდზევე მომუშავეს ვერ უმხელდა თავის აზრის, რწმენის, იდეის გაზიარებას. ერთის მხრივ განმანადგურებელ რეაქციის ტლანქი, უხეში ძალა, მეორეს მხრივ რეაქციის მიერ გამოწვეული საზოგადოებრივი გულგატეხილობა და მარჯვენა გადახრა,—არ აძლევდენ ჩვენს ამხანაგებს საშუალებას ფართოდ განევითარებინათ მოქმედების ის ასპარეზი, რომელიც უტყუარი გზა იყო ყოველივე ძალმომრეობის მოსპობისათვის და ახალი წყობილების დამყარებისათვის. თუ ვისმეს მიუძღვის ღვაწლი რუსეთის დიდ რევოლუციაში,—უპირველეს ყოვლისა ასოთ-ამწყობებს, იმ ასოთ-ამწყობთ, რომელთაც დაივიწყეს პირადი ბედნიერება, პირადი ნეტარება და სტამბების მტვერიან ჯურღმულებში „კინკილში" იმ [illegible] ლითონებს, რომლებთაც იბეჭდებოდა სიტყვა და აზრი—ეს უმაღლესი იდეალი და შინაარსი ჩვენის ცხოვრების. ნიკო პროფესიით დალაქი იყო, მაგრამ მისი მოუსვენარი ბუნება ვერ მოთავსდა ამ ფარგლებში და ის სწავლობს ასოთ-ამწყობობას. ეს ხელობაც ჩქარა სძლია მან და შეუდგა თავის საყვარელ საქმეს—ასოთ-ამწყობობას. ნიკო მაშინვე წევრება ლეგალურ მუშაობას და თავისი მოღვაწეობა არალეგალურ ასპარეზზე გადააქვს. თვითმპყრობელობის რუსეთის ჯალათებს სხვა ჩვენ მრავალ ტანჯულ ამხანაგებთან ერთად არც ნიკო დარჩათ შეუმჩნეველი და 1907 წელშივე ის გადასახლებული იქნა ციმბირში. ბუნებით სუსტი, მაგრამ სულით მაღალი ნიკო გაკაჟებულის ენერგიით უმკლავდება ცხოვრების უკულმართობას და აი, მისი ბრძოლის ნაყოფიც იხილა.

1917 წელმა ბორკილები აჰყარა თავისუფლებას, და ნიკო, როგორც ერთი მებრძოლთაგანი, უბრუნდება თავის სამშობლოს. ჟამთა სრბოლამ მე კვლავ მაღირსა მისი ნახვა. რევოლუციის ტალღები ჯერ კიდევ მძლავრად ბობოქრობდნენ, „განახლებისა გრიგალის ქროლვა" ჯერ კიდევ მძლავრად უტევდა ბიუროკრატიზმის კედლებს, რომ ნიკომ თავის საყვარელ გაზეთზე ამოჰყო თავი. გარდაქმნილი, აყვავებული სამშობლო განთავისუფლების ბუკსა და ნაღარას სცემდა და სადღესასწაულოდ მოუხმობდა თავის შვილებს. გამარჯვებით დამთვრალნი ამხანაგებს ვულოცავდით ერთმანეთს ქვეყნის განთავისუფლებას.

ციმბირის სუსხიან ჰავას ჩვენი ნიკოსთვის თავისი დაღი დაესვა. მისმა დაქანცულმა ორგანიზმმა ვეღარ შესძლო გაზეთზე მუშაობა და ის შორდება თავის საყვარელ საქმეს. უკანასკნელ ხანებში მე შევხვდი მას კოოპერატ. „ალორძინებაში". სულით დაუღალავი და შეუდრეკელი ის კვლავ განაგრძობდა რევოლუციურ სამსახურს, ის კვლავ თავდადებით ემსახურებოდა მუშათა დემოკრატიას. უშრეტელობა, პირიანობა, პირდაპირობა,—აი ის თვისებები, რომლებიც ახასიათებდა ნიკოს ბუნებასა და ძლიერ ნებას.

ულმობელმა ცხოვრებამ დაადუმა მისი ქუშმარილების მოლაღიმებელი ბაგე, წაგვართვა პატიოსანი, ფაქიზი და უნ[illegible] მუშაკი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს ხალხის კეთილდღეობას სწირავდა.

ჩვენს შორის წარუშლელი დარჩება მისი ხსოვნა.

ქ. კალაძე.

ა. ჩხენკელის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში

ა. ჩხენკელი, რომელიც გაემგზავრა თფილისიდან 14 იანვარს, გუშინ დილით დაბრუნდა.

თუმცა პირდაპირი მიზანი მგზავრობისა ჩრდილოეთის ფრონტის დათვალიერება იყო, მაგრამ ადგილობრივი ამხანაგების სურვილის თანახმად ა. ჩხენკელმა წაიკითხა მოხსენებები სხვადასხვა დაბა-ქალაქებში მრავალ-რიცხოვან ყრილობებზე.

მოხსენება წაკითხულ იქნა იმერეთში: ქუთაისში, ხონში და სამტრედიაში; სამეგრელოში: სენაკში, ხეთაში, ცაიშში და ზუგდიდში; აფხაზეთი: ქებერხინჯში, ეგალში, ოჩამჩირეში, კოდორში, დრანდაში, სოხუმში (ქართველთა და რუსთა), გუდაუთაში, ლიხნაში და გაგრაში; დაბრუნებისას ა. ჩხენკელმა წაიკითხა მოხსენება ფოთში და გურიაში: ოზურგეთში, ჩოხატაურში და ნაგომარში.

ყველა ყრილობებზე დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად მიიღო მისალოცი და მადლობის დეპეშები დამფუძნებელი კრების, მთავრობის და დიდ ბრიტანეთის უმაღლეს კომისარის მისტერ უორდროპის სახელზე.

დაწვრილებითი ცნობები ამ მოგზაურობის შესახებ მოთავსებულ იქნება შემდეგ.

დამოუკიდებლობის აღიარების გამო

მთავრობის თავმჯდომარის სახელზედ მიღებულია მილოცვის დეპეშები:

ლონდონიდან: „მივიღეთ ოფიციალური ცნობა ბრიტანეთის მთავრობისა და მოკავშირეთაგან საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის de facto აღიარებისა. მივესალმებით უმაღლეს საბჭოს პირველ ნაბიჯს. ვიმედოვნებთ, რომ საბოლოო ცნობის მიღებაც არ დაიგვიანებს. გვარჯალაძე.

პარიზიდან: „პარიზში ახლახან ჩასული ქართველი სტუდენტები, ბედნიერნი ვართ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით. სალამი მთავრობას! ნოზაძე, რობაქიძე.

შვეიცარიიდან. „აღფრთოვანებული მილოცვა, მხურვალე სურვილები კეთილდღეობისა დამოუკიდებლად ცნობილ საქართველოს. მისსიის და კოლონიის მონდობილობით სუმბათაშვილი.

სტამბოლიდან. „საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობამ აღაფრთოვანა მთელი კოლონია. მიიღეთ ჩვენი მხურვალე მილოცვა და სურვილი კეთილ და მშვიდობიან ცხოვრებისა თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოსთვის. რცხილაძე.

გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციათა ცენტრის ყრილობა შეჰკრიბა რა პირველად საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ, მხურვალე სალამს უგზავნის ციკას ჩვენ სახელმწიფოს ცნობის გამო რომელიც შედეგია ჩვენის პარტიის ენერგიული მუშაობისა და ბრძოლისა. სამაზრო ცენტრი.

დონში და ყუბანში

დონის და ყუბანის ოლქებიდან, ანუ ეგრეთ წოდებულ „დობროვოლიიდან" საერთოდ ცოტა ცნობები გვაქვს.

მართალია, დროგამოშვებით მოსკოვის ბოლშევიკური რადიო გვაწვდის ცნობებს, მაგრამ ეს ერთი ხანია აღარ მოდის მოხალისეთა ცნობები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ბოლშევიკებისა და მოხალისეთა ცნობების ერთმანეთისთვის დაპირდაპირება და ასე, ერთი დასკვნის გამოტანა.

ბოლშევიკების ცნობები და ჩამოსულთა ნაამბობი.

ბოლშევიკების ცნობით ამ ჟამად სასტიკი ბრძოლაა როსტოვის რაიონში. ბატაისკი, ოლგინსკაია—აი ის ადგილები, რომელთა სახელებს ხშირად ვხვდებით მოსკოვის რადიოს ცნობებში. ჩამოსულთა ნაამბობიც ადასტურებს ამ ცნობებს, მხოლოდ არ არის ინტერესს მოკლებული აგრეთვე ჩამოსულთა ნაამბობიდან ის, თუ როგორ აიღეს ბოლშევიკებმა როსტოვი.

ნოვოჩერკასკი არც კი იყო აღებული, რომ როსტოვში პანიკა გამეფდა. ბოლშევიკები მიდიან და თავს უშველეთო—აი რას გაიძახოდნენ იმ დღეებში როსტოვში. ნოვოჩერკასკის აღებამ ხომ გააორკეცა პანიკა. ერთ მშვენიერ დღეს როსტოვის ბოლშევიკებმა შეიარაღებული „გამოსვლა" მოაწყვეს ერთსა და იმავე დროს ქალაქის სხვადასხვა უბნებში. ეს „გამოსვლა" ისე ხელოვნურად დარჩა მოწყობილი, რომ თითქმის ყველა დარწმუნდა—ფრონტი სადღაც დაშლილა და ბოლშევიკები უკვე შემოვიდნენ როსტოვშიო. ასე გაიგო ეს ადგილობრივი გარნიზონის სარდლობამ და ბრძანება იქნა გაცემული სად. ბატაისკისაკენ დასახევათ, რაც როსტოვში იქნა მოყვანილი.

ამ დროს ქალაქში დაიწყო ძარცვა-გლეჯა, დარბევა. ადგილობრივი ბოლშევიკები შეუდგნენ სამხედრო რევოლუციური კომიტეტის მოწყობას. მაგრამ გადის მთელი დღე ღამე, მეტიც და ბოლშევიკების ჯარები არ სჩანან. მხოლოდ მაშინ დარწმუნდა მოხალისეთა სარდლობა, რომ უკან დახევა ნაადრევათ მოხდა, რომ როსტოვის მიდამოებში ბრძოლა სწარმოებს და სხ. ამიტომ ისევ დაბრუნდა მოხალისეთა ჯარი როსტოვში, მაგრამ ამავე დროს როსტოვს მოადგა ბოლშევიკების ჯარი—გაიმართა ბრძოლა ქალაქში, მის გარეთაც, მაგრამ ერთხელ წამხდარი საქმე ვეღარ გამოაკეთეს მოხალისეებმა და კვლავ უკან დაიხიეს.

გაზეთი „უტრო იუგა".

ეს გაზეთი გამოდის ეკატერინოდარში. ჩვენ ხელში შემთხვევით ჩაგვივარდა ამ გაზეთის მერვე ნომერი—12 იანვრის თარიღით, ძველი სტილით, მაშასადამე, ახალი სტილით ეს გაზეთი არის 25 იანვრის. „დობროვოლიის" ვითარების გასაცნობათ ამ გაზეთიდან მოგვყავს ზოგიერთი ადგილები:

ბოლშევიკურ როსტოვში.

ტყვეთ წამოყვანილი წითელი არმიელები გადმოგვცემენ, რომ როსტოვის აღების შემდეგ ბოლშევიკებმა რეკვიზიცია მოახდინეს ყველა დიდი სტამბებისა და დაიწყეს შემდეგი გაზეთების გამოცემა: „როსტოვის საბჭოს უწყებები", „კრასნაია ზვეზდა", „ბედნი კომუნისტი", ჟურნალი „ვოზროჟდენიე". „იზვესტია" იბეჭდება „პრიაზოვსკი კრაის" სტამბაში, „კრასნაია ზვეზდა" მოხალისეთა საგანგებო სათათბიროს საპროპაგანდო განყოფილების სტამბაში.

როსტოვიდან გამოქცეულების გადმოცემით ბოლშევიკების შემოსვლიდან ქალაქში არავითარი სურსათი აღარ შემოდის. ამის მიზეზათ უმთავრესათ შეიძლება ჩაითვალოს როსტოვის მოწყვეტა როგორც სად. ბატაისკიდან, ისე ახლო მახლო სტანიცებიდან. ხორცი და თევზი სრულიად არ იშოვება. გირვანქა პურის ფასი 80 მანეთამდე ავიდა, ერბო ღირს 400 მანეთი გირ.

მოხალისეთა ჯარის ოპერატიული ცნობა.

(10—ე. ი. 23 იანვარი).

ასტრახანის მიმართულება. ყიზლიარის რაიონი. ჩვენი ჯარის ნაწილებმა იერიში მიიტანეს წითლებზე ყიზლიარის ჩრდილოეთით 80 ვერსზე. მოწინააღმდეგე დავამარცხეთ და გავაქციეთ. ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები და წამოვიყვანეთ დიდძალი ტყვეები. მტრის დევნას განვაგრძობთ.

სვიატოკრესტის რაიონში დავამარცხეთ რა წითლები, ავიღეთ სვიატოი კრესტი.

ცარიცინის მიმართულებით ჩვენი ჯარის ნაწილები განაგრძობენ წინსვლას ნაჩვენებ ადგილებზე უკან დახევის წესრიგით. დონის რაიონში კაგალნიცკიდან სად. მეჩეტინსკაიამდე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. სოლენის ხუტორის ჩრდილოეთით ბრძოლის დროს ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი.

როსტოვის რაიონი. რამდენიმეჯერ დამარცხების შემდეგ მოწინააღმდეგე პასსიურობას იჩენს. ჯერ-ჯერობით მიღებული ცნობით 6, 7 და 8 იანვარს (ე. ი. 19, 20 და 21) 22 ზარბაზანის, 120 ტყვიისმფრქვეველისა და დიდძალი სამხედრო მასალის გარდა, ტყვეთ წამოვიყვანეთ 3000 კაცი. ტყვეების მოყვანა გრძელდება.

ეკატერინოსლავის მიმართულება. პერეკოპის ჩრდილოეთით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა დაამარცხა მტრის ქვეითი ბრიგადა და ცხენოსანთა რაზმი. წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ სამხედრო მასალა.

ჩერკესის და ყუბანის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა. ოდესის რაიონში სიწყნარეა.

ბოლშევიკების ცხენოსანი ჯარი.

დონის სამხედრო წრის მცოდნე პირების გადმოცემით, მიუხედავად დიდი მეკადინეობისა, ბოლშევიკებმა მაინც ვერ შესძლეს შეექმნათ ცხენოსანი ჯარის თვალსაჩინო ძალა. ცხენოსანი ჯარის „დამკვრელი" რაზმი არ აღემატება 15 ათასს. ამაში ბუდენის განკარგულებაშია 12 ათასი, დუმენკოს—არა უმეტეს 3 ათასისა.

ბრძოლა ბატაისკ—ოლგინსკაიას რაიონში.

როგორც ირკვევა, 5—7 იანვარს ოლგინსკაია-ბატაისკის რაიონში ყაზახებმა და მოხალისეებმა დიდი ზარალი მიაყენეს ბუდენის [illegible], მოსპეს [illegible] კავალერიის დივიზიები, აგრეთვე ზარალი მიაყენეს ბოლშევიკების [illegible] დივიზიებს. ამათ დაჰკარგეს ბრძოლაში 13 ზარბაზანი, 100 ტყვიისმფრქვეველზე მეტი, 2 ათასი ტყვე, ერთი საბრძოლო და 2 [illegible]. ამ ბრძოლაში ბოლშევიკებისთვის სამწუხარო იყო სტაროჩერკასკის და ოლგინსკაიას შეტაკებები, სადაც ჩაიგდო წითელი ჯარის „ობოზები" და 12 ზარბაზანი.

დონის სარდლობა აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ბრძოლის დროს განსაკუთრებით თავი ისახელეს გენ. პავლოვის, გუსელშჩიკოვის, კუტეპოვის, ტოპორკოვის და სტარიკოვის ჯარებმა და აგრეთვე პოლ. დოლგოპოლოვის და [illegible] ცხენოსანთა რაზმებმა.

9 და 10 იანვარს ბოლშევიკებმა კვლავ სცადეს შემოტევა—ამუშავეს დიდძალი ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნები. მათ მიზნათ ჰქონდათ ბატაისკის და ოლგინსკაიას დაკავება. აქ ბოლშევიკებმა დაიჭირეს ბუდენის და დუმენკოს ცხენოსანი ჯარების საუკეთესო ნაწილები, მაგრამ ცდა უნაყოფო და მათთვის სამწუხარო შედეგით დამთავრდა.

დონის ცხენოსანი ჯარი, რომელსაც მამონტოვის ნაცვლად გენ. [illegible] ლობდა და აგრეთვე გენ. [illegible] ლ სებით, რომელსაც მეთაურობდა გენ. კუტეპოვი, ბოლშევიკებს დაედევნენ, მდინარეზე გადასვლისას ბოლშევიკებს ვერ გაუძლო ყინულმა, დიდძალი ჩაცვივდა მდინარეში და დაიხრჩო. ბრძოლის ველზე დასტოვეს დიდძალი სამხედრო მასალა და ტყვეები.

საყურადღებო თათბირი „სტავკაში".

დონის და ყუბანის ჯარების ატამანებმა, აგრეთვე დონის და კავკასიის ჯარების სარდლებმა, მოხალისეთა კორპუსის სარდალმა და ყაზახთა ჯარების უმაღლესი „კრუგის" თავმჯდომარემ, მთავარი სარდლის შტაბის უფროსის გენ. რომანოვსკის დეპეშა მიიღეს, რომელიც ზემო აღნიშნულ პირთ იწვევს სად. ტიხორეცკაიაში თათბირზე. თათბირის გასარჩევი ექნება სტრატეგიული ხასიათის საკითხები, ახალი ჯარის ნაწილების შედგენა, ძველების შევსება და სხ. მთავარი სარდალი სთხოვს ატამანებს დაესწრონ თათბირს „კრუგების", რადის და მთავრობათა თავმჯდომარეებთან ერთად. უმაღლესი „კრუგის" თავმჯდომარე მიწვეულია ორი თავისი ამხანაგით. თათბირი გაიმართება იანვრის 12 (ე. ი. 25-ს ახალი სტილით).

ეკატერინოდარში

დონის, ყუბანის და თერგის ყაზახთა ჯარების უმაღლესი „კრუგი".

10 იანვრის (23) სხდომა.

სხდომის გახსნისას დახურულ კრებაში მოხსენებას აკეთებს ფრონტის მდგომარეობის შესახებ სამხედრო საქმეთა მთავრობის წევრის თანაშემწე პოლ. მოროზოვი.

შემდეგ „კრუგის" დებულებაზე მოხსენებას აკეთებს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე სკობცოვი. დებულება შემდეგ საფუძვლებს შეიცავს: 1) უმაღლესი „კრუგი" უფლებამოსილი წარმომადგენლობაა დონის, ყუბანის და თერგის სახელმწიფოებრივობისა და ისახავს შემდეგ მიზნებს: ა) საკავშირო სახელმწიფოს შექმნას, რომელშიაც შევლენ ზემოაღნიშნული ტერიტორიები, რომლებთაც შემდეგ შეუერთდებიან ახალი ოლქები, საკავშირო კონსტიტუციის საფუძვლებზე, უკეთუ ამას მოისურვებენ ამ ოლქების მცხოვრებნი; ბ) საკავშირო მთავრობის შექმნა. 2) საკავშირო კონსტიტუცია და მთავრობა იმ დრომდე, სანამ შექმნებოდეს საერთო სახელმწიფოებრივი მთავრობა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ. 3) ამ საგანზე შემუშავებული კონსტიტუცია ძალაში შედის, როგორც კი მას დაამტკიცებს უმაღლესი „კრუგი".

მოხსენება ცხარე კამათს იწვევს.

დონის დეპუტატის შაპკინის აზრით კომისიის მიერ წარმოდგენილი ფორმულა მთელი პროგრამაა, რომლის ზოგიერთი ადგილების გადაჭრა მათთვის არავის არ დაუვალებია. დონის ჯარების სამხედრო „კრუგს" არას დროს არ ჰქონია მიზნათ საკავშირო სახელმწიფოს მოწყობა. რუსეთის აღდგენის საკითხში ორი მიმდინარეობაა, ერთი ფედერაცია, მეორე—ერთი მთლიანი რუსეთი. მთლიანი რუსეთის შესაქმნელად საჭიროა ყველა ოლქების შეერთება იმ საკავშირო სახელმწიფოზე, რომლის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობთ ახლა. ეს მოხდება საბჭოთა მთავრობის სრული დამარცხების და დამფუძნებელი კრების მოწვევით. კომისიის მიერ წარმოდგენილი ფორმულა შეიცავს წინააღმდეგობას—იქ არის ფედერაციაც, დამფუძნებელი კრებაც. ფედერაცია ჩვენ ვერ გვიხსნის, ვერ იხსნის ის ვერც რუსეთს. ვისთან შეიძლება ფედერატიულად შეკავშირება ყაზახთა ოლქებს? მხოლოდ საქართველოსთან და აზერბაიჯანთან, მაგრამ ეს რესპუბლიკებიც, როგორც მათი დელეგაციების მიერ წარმოდგენილ მემორანდუმებიდან სჩანს საზავო კონფერენციისადმი, ცდილობენ დამოუკიდებლობას და არა ფედერაციას. ყირიმში, ნოვოროსიისში, სტავროპოლისა და შავი ზღვის გუბერნიებში ამ ჟამად ისეთი მთავრობები არსებობენ, რომლებიც არ სცნობენ ფედერაციას. უკრაინასთან კავშირის დაჭერა შეუძლებელია. მარტო დონის, ყუბანის და თერგის ფედერაცია კი საგრძნობი ძალა ვერ იქნება. სარწმუნო ცნობები გვაქვს, რომ საბჭოთა მთავრობა ჩვენთან არას დროს ზავს არ შეკრავს. ყაზახთა ოლქებში ფედერაციის გამოცხადება კი ბრძოლის ახალი სტიმული იქნება „სოვდეპიის" მეთაურებისათვის, მთლიანი რუსეთისათვის. რუსეთისაგან ჩამოშორება არ შეიძლება, ვინაიდან დონში, ყუბანში და თერგში ამ ჟამად ძლიერ ბევრი იბრძვის ბოლშევიკებს მხოლოდ რუსეთის დასახსნელად. ფედერაცია კი, შესუსტებდა ამ ძალებს, ის ხელს შეუწყობდა, მართალია, მთლიანი რუსეთის შექმნას, მაგრამ ეს მთლიანი რუსეთი იქნებოდა საბჭოთა.

დონის ფრაქციის თავმჯდომარის პოლკოვნიკ გნილორიბოვის აზრით შეცდომაა ის აზრი, თითქოს ფედერაცია მოგვიტანს ბოლშევიკებთან შერიგებას, ყაზახთა ჯარი

მის დაშლას და სხ. მთლიანი რუსეთის აღდგენით იმ გზით და იმ პოლიტიკით სარულმა, რომლითაც მიდიოდით, მიგვიყვანა მხოლოდ კატასტროფამდე. ეს გზა და ეს პოლიტიკა სახელ გატეხილია ხალხის თვალში, იმიტომ საჭიროა ახალი გზების გამონახვა, რომ ხალხი მოგვეხმაროს. არსებულ პირობებში ხალხი ვერ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. მხოლოდ საკავშირო სახელმწიფოში ხალხი შესძლებს ბრძოლის ველზე გამოსვლას. არა დაპყრობის, არამედ—მხოლოდ განთავისუფლების გზით მიაღწევთ მოსკოვს.

იაცკოვი (დონის დეპუტატი) ამბობს, რომ კომისიის ფორმულა არ შეიცავს რუსეთიდან ჩამოშორებას. ლოზუნგი ყაზახობა ებრძოდა არა მარტო ბოლშევიკებს, არამედ—ის ებრძოდა რუსის ხალხს. ეხლა უნდა ნათქვამი იქნას ეს უფარესი გზა. მარტო ყაზახები რუსეთს ვერ იხსნიან. მას დაიხსნის მხოლოდ რუსის ხალხი.

ვრცელ სიტყვას ამბობს დ. ა. ფილიმონოვი. მისი აზრით საჭიროა აღიარებულ იქნას ბოლშევიკებთან როგორც ბრძოლის მიზანი, ისე ამ ბრძოლის საზღვარი. საჭიროა გადაჭრით ითქვას, რომ ყაზახობა იბრძოლებს იმ დრომდე, სანამ ყაზახთა ოლქები არ იქნება განთავისუფლებული ბოლშევიკებისაგან. ამას იქით ჩვენ არ წავალთ და არც გვაქვს უფლება წავიდეთ; ცენტრალურ გუბერნიებში შეჭრის დროს ყაზახები აღმოჩნდებიან არა განმათავისუფლებლები, არამედ—კონტრ-რევოლუციონერები, რომელთაც თან მიჰყვებიან მემამულეები. ჩვენი განცხადება, რომ საკუთარ საზღვრებს არ გადავლახავთ, რომ არ განვთავისუფლებთ იმათ, ვინც ჩვენ დამპყრობლებათ გვთვლის, ჩვენს მოწინააღმდეგეებზე ძლიერად იმოქმედებს. რევოლუციის პსიხოლოგია აქეთია. რამდენათ ჩვენ ვეცდებით მოსკოვის დაპყრობას, იმით იმდენათ გავაძლიერებთ ბოლშევიკებს. ხალხს ეს და ეუწყოთ, რომ ჩვენ გვამოქმედებს კონტრ-რევოლუცია კი არა, არამედ საკუთარი ოლქების დაცვა, მაშინ ხალხიც ჩვენ გამოგვყვება. იარაღით რუსეთი ვერ აღსდგება. ის აღსდგება მთელი რუსი ხალხის მოლაპარაკებით—დამფუძნებელი კრების საშუალებით.

პირველსავე აქტში უნდა ვაუწყოთ ხალხს ბოლშევიკებთან ბრძოლის მიზანი და საზღვარი, უნდა ვაუწყოთ, როგორ ვუყურებთ რუსეთის აღორძინებას, ხალხის მონაწილეობას ამ საქმეში, ჩვენი შეხედულება მიწის საკითხზე, აგრეთვე ამნისტია უნდა გამოცხადდეს იმ ყაზახებისა, რომლებიც ბოლშევიკთა რაზმებში იბრძვიან.

დონის მთავრობის თავმჯდომარის მელნიკოვს არ მიაჩნია სასარგებლოთ საკავშირო სახელმწიფოთა შექმნა, ვინაიდან მათ ტერიტორიაზე სხვა ძალაუფლება შეუძლებელი იქნება, ეს კი გამოიწვევს შემდეგს: მაგალითად ვთქვათ, მაგრამ ბრძოლაში გამორთობილ მოხალისეთა ჯარის ნაწილები, რომლებიც ამ ჟამად ფრონტს აჩერებენ მდ. დონის შესართავიდან როსტოვამდი, მოიხსნებიან. მოგვეპოვება კი ისეთი სამხედრო ჯარის ნაწილები, რომლებიც მოხალისეების მაგივრობას გაგვიწევენ ახლო მომავალში? ასეთი ძალა ჩვენ არ მოგვეპოვება. გასაოცარი ის არის, რომ ლაპარაკობენ კავშირზე საქართველოსა და აზერბეიჯანთან და კავშირს სწყვეტენ ამ ძალასთან (მოხალისეებთან), რომლებიც ამ ჟამად ჩვენთან არიან. დონის ატამანი და მთავრობა ფიქრობს, რომ მთავრობის შედგენა საჭიროა ხელშეკრულებით. მთავრობაში უმრავლესობას ყაზახობა უნდა შეადგენდეს, მისი პროგრამა უნდა შეიმუშაოს უმაღლესმა „კრუგმა", მაგრამ ეს მთავრობა არ შეიძლება იყოს საკავშირო. ტერიტორიის საზღვრების არ გადალახვის აზრს არ იზიარებს, ვინაიდან ეს იმას ნიშნავს, რომ თერგის ყაზახობამ უარი თქვას ბოლშევიკებთან ბრძოლაზე [illegible].

დონის პრემიერის სიტყვას ტაშით შეეგება თერგის მთელი დელეგაცია და დონის დელეგაციის უმნიშვნელო ნაწილი.

კომისიის პროექტი ფრაქციებს გადაეცა განსახილველად. ამით დამთავრდა კრების სხდომა.

ბრძანება პროფესიონალური კავშირების შესახებ.

7 იანვრის თარიღით გამოქვეყნებულია ბრძანება ყუბანის მთავრობისა, რომლითაც ყუბანის ოლქის ტერიტორიაზე ძალაში რჩება რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 12 აპრილის კანონი პროფესიონალურ კავშირთა და საზოგადოებათა შესახებ, რომლითაც მოქალაქეებს უფლება აქვთ კავშირების და საზოგადოებების შედგენისა, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სისხლის სამართლის კანონებს.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს განცხადება.

ჩრდილო-კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ განცხადება წარუდგინა ყუბანის მთავრობას, რომლითაც მოითხოვს მუშათა ორგანიზაციებში მომუშავე იმ პატიმართა განთავისუფლებას, რომლებიც ეკატერინოდარის და სხვა ქალაქების ციხეებში სხედან. საბჭოს განცხადებით ისინი დაპატიმრებული არიან მოხალისეთა ჯარის კონტრ-მზვერავების მიერ მხოლოდ იმ საბუთით, თითქოს ისინი ბოლშევიკები იყვნენ. დაპატიმრებულთა რიცხვი ასობითაა. უკანასკნელად მომხდარი ამბები საბუთს აძლევს კავშირის საბჭოს მიაქციოს მთავრობის ყურადღება ამ მოვლენაზე და წინადადება მისცეს მას ან ფაქტებზე დამყარებული ბრალდება წარუდგინოს დაპატიმრებულთ, ან სრულიად გაანთავისუფლონ ისინი.

ქალაქის მოსამსახურეთა კავშირში.

ქალაქის საბჭოს 10 იანვრის სხდომას უნდა განეხილა მოსამსახურეთათვის 100 პროცენტის მომატების საკითხი. ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრული იყო ნოემბერში. საკითხი დადებითად გადაწყვეტილი იყო, საჭირო იყო მხოლოდ საბჭოს დასტური, მაგრამ 6 საათის უნაყოფო კამათის შემდეგ სახლის პატრონთა ჯგუფის ხმოსნებმა სხდომა დემონსტრატიულად დასტოვეს და ასე, ის ჩაიშალა. ამის გამო მოსამსახურეთა კავშირმა დაადგინა 13 იანვრიდან გაფიცვა გამოაცხადოს, რისთვისაც დასტურს სთხოვს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს.

მოსამსახურეთა ჯამაგირები

მთავრობის განკარგულებით შედგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს თუ რამდენათ გაძვირდა ცხოვრება და ამის თანახმათ მოსამსახურეებს მოუმატოს ჯამაგირები.

პარტახტიანი და სხვადასხვაგვარი ტიფი.

8 იანვარს ქალაქის გადამდებ სენით ავადმყოფთა თავშესაფრებში იყო: პარტახტიანი ტიფით ავადმყოფი 1642, მიემატა 47, გამოეწერა 37, მოკვდა 6, რჩება საავადმყოფოში 1677 ავადმყოფი. მუცლის ტიფიანი იყო: 206, მიემატა 3. მობრუნებითი ტიფით ავადმყოფი იყო 724, მიემატა 11, გამოეწერა 19, დარჩა 716.

„ს ტ რ ა ჟ ა".

11 იანვარს „უტრო იუგას" რედაქციაში მივიდა „სტრაჟის" წარმომადგენელი და მოითხოვა რედაქციის კოლეგიის სია. ამასთან ერთად მოითხოვა ცნობის მიწოდება იმის შესახებ, თუ რა დონეზე გამოდის „უტრო იუგა" და ვისგან არის მიღებული გამოცემის ნებართვა. რედაქციამ უარით გაისტუმრა „სტრაჟის" წარმომადგენელი, ვინაიდან ასეთი ცნობების შეკრება მის მოვალეობას არ შეადგენს.

საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

გაზეთში შემდეგი ცნობაა მოთავსებული კავკავიდან: ქართველების ადგილობრივმა კოლონიამ ცნობა მიიღო თბილისიდან (საქართველოს სამხედრო გზით) საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. ამ ფაქტის სწორი დეტალი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ამიერ-კავკასიის პოლიტიკური ცხოვრებისათვის და აგრეთვე ის გარემოება, თუ რა უძღოდა წინ დამოუკიდებლობის ცნობას, ჯერ გამორკვეული არ არის, ვინაიდან თბილისიდან უკანასკნელი დღის გაზეთები არ მოსულა. ქართველმა საზოგადოებამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების აღსანიშნავათ ბანკეტი გამართა.

სახალხო გვარდიაში

გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი.

თუ სხვა სადგვარდიო ნაწილებში არის გაჩაღებული კულტურული მუშაობა,—თეატრის, სამკითხველოს და ურთიერთ დახმარების კასების, ჩვენ დივიზიონში კი ჯერ-ჯერობით ასეთი რამე არაფერი გაკეთებულა.

მოთხოვნილება ამ მხრით მეტად დიდია. ამას ამტკიცებს 23 იანვარს, სამხედრო სამინისტროს განმანათლებელ სექციის წევრის ბ-ნ გორგაძის მიერ წაკითხული ლექცია: „ქართველის ლეგენდარული და ისტორიული საზღვრები".

გვარდიელები ლექტორს გულდასმით უსმენდნენ და ბოლოს დიდის მადლობით და ტაშით დააჯილდოვეს.

საჭიროა კულტურულ მუშაობას, გვარდიის ცხენოსანთა დივიზიონში, მეტი ყურადღება მიექცეს და ხშირად გაიმართოს იქ ლექციები, წარმოდგენები.

ჩვენ ძლიერნი უნდა ვიყოთ არა მარტო იარაღით, არამედ ცოდნით და შეგნებითაც.

ცურული გვარდიელი.

ს.-დ. პარტიაში

თბილისი. 29 იანვარს შესდგა საქართველოს სოც. დემ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. კრებამ მოისმინა ამხ. თ. ხ—ლის მოხსენება თბილისის კომიტ. [illegible] მდგომარეობაზე და გადავიდა შემდეგ კითხვებზე. მცირე კოლ. წარმომადგენლის მოხსენებიდან ირკვევა, რომ პარტიული მუშაობა მიმდინარეობს ჩვეულებრივად. წლიური საზოგადო კრების მოწვევის შესახებ კრება ადგენს: კვირას, 1 თებერვალს მოწვეულ იქნას მეორე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც განხილული იქნება წლიური ანგარიში რაიონისა, და აირჩევენ კოლექტივის, თბილისის კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრებს.

კრებამ აირჩია სარეკომენდაციო კომისია, რომელიც გამოიმუშავებს კანდიდატების სიას. კოლექტივის წლიური ანგარიში კრებამ განიხილა და დაამტკიცა.

თ. ხუხუნაიშვილი.

— —

ზემო გომი. (ქართლი) ჩვენი მხარე მივიწყებული ქვეყანაა. მიუხედავათ იმისა, რომ ეს გულია საქართველოსი, აქ კულტურული მუშაობა სათანადო ნიადაგზე არა სდგას. ზოგიერთნი [illegible] ზევით იცქირებოდნენ: გვიბრძანონ და [illegible]. მაგრამ ეს სწორე არ იყო. დემოკრატიული პრინციპები მოითხოვს, რომ ადგილობრივი ცოცხალი ძალები ჩაბმული იქნან ყველა საზოგადო საქმეებში, რომ მათი საშუალებით წესიერად იტრიალოს სახელმწიფო მამოძრავებელი აპარატის ბორბალმა.

გამოდის რა ამ მოსაზრებიდან, ზემო-გომის ს. დ. სარაიონო კოლექტივი, საჭიროთ სთვლის სოფლებში გაჩაღებულ იქნას პარტიული მუშაობა [illegible]-კრების სახით და გამოყენებულ იქნას ამ მიზნისთვის ადგილობრივი ძალები.

ამ ნიადაგზე ყველა სოფლებში სისტემატიურათ დაიწყო მუშაობა, სადაც ფართო მასა ეცნობა, როგორც პარტიის მნიშვნელობას, აგრეთვე მთავრობის მუშაობას და ამ საშუალებით იფანტება ის ჭორები, რომლებიც ჩვენ მტრებს სოფლის ხალხში შეაქვთ თავიანთ ბნელი საქმეების საკეთებლად.

ამა წლის იანვრის 24 ს სოფელ ქვენატკოცაში (გორის მაზრა) დაარსდა ამხ. [illegible] ლომიძის ხელმძღვანელობით საქ. სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაცია და სამკითხველო. ამხ. ლომიძის ამ ნაბიჯმა და განმარტებამ პარტიული მუშაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ხალხში კმაყოფილება გამოიწვია. [illegible] თუ ბევრით შეგნებული ამხანაგები დიდის თანაგრძნობით ეწერებიან ჩვენს პარტიაში.

წევრების ჩაწერის შემდეგ მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები, რომელშიაც შევიდნენ შემდეგი პირნი: 1) გიორგი გომარელი (თავმჯდომარე); 2) კოტე გელაშვილი (თავმჯ. ამხ.); 3) ლადო გელიშვილი (მდივანი). ამათი კანდიდატები: 1) ი. თხალაძე და არ. ხუციშვილი. აგრეთვე მიენდო პრეზიდიუმს სამკითხველოს მართვა გამგეობა. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამხანაგები მინდობილ საქმეს სათანადო ყურადღებით მოეკიდებიან.

ხარძელი

მუშათა შორის

თბილისი. 25 იან. დემოკრატიულ კლუბ „მუშტაიდში" შესდგა თბილისში საქონლის მზიდველთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა შაქრო კირაკოზოვი, მდივნათ დიომიდე ქუჩულორია, დღის წესრიგში იყო: 1) გამგეობის მოხსენება 1919 წ. მუშაობის შესახებ, 2) სარევიზიო კომისიის შესახებ, 3) მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა, 4) თვიურ გადასახადის მომატება, 5) კოოპერატივის შესახებ, 6) მოჯამაგირეთათვის თვიური ჯამაგირის განსაზღვრა, 7) კავშირის დისციპლინა, 8) წევრთა მიღება-დათხოვნა.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს კავშირის საქმის წარმოებელი ქუჩულორია. კრება ყურადღებით დაუგდო ყური მოხსენებას და გამოაქვს შემდეგი რეზოლუცია: საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება კავშირის გამგეობის 3 თვის მუშაობის შესახებ იწონებს მას, უცხადებს მადლობას და ავალებს განაგრძოს მუშაობა მეტი ენერგიით კავშირის მყარ ნიადაგზე დასაყენებლად. მეორე კითხვის შესახებ საქმის მწარმოებელი მოახსენებს კრებას, რომ სარევიზიო კომისიას დღემდის მისი არჩევისა გარდა ერთხელაც არ გაუკეთებია გამგეობისათვის რევიზია, რაც არა სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს. კრება ადგენს გამოცვლილ იქნას კომისიის მთელი შემადგენლობა და არჩეულ იქნას ახალი კომისია. არჩეულ იქნენ: 1) ი. ნარსია, 2) ი. ხატისოვი, 3) ს. მეტიხელი, 4) კ. ჩემია და 5) გ. ძეგველოვი. კანდიდატებათ: 1) ის. ნარსია და 2) ე. არაქელოვი. მოსმენილ და განხილულ იქნა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წ., რაც უცვლელათ იქნა დამტკიცებული. თვიური გადასახადის მომატების შესახებ კრება გამგეობის წინადადებით ადგენს: პირველ თებერვლიდან თვიური საწევრო გადასახადს მოემატოს 10 მ. ე. ი. წყვილ ცხენიან „პოლვოდაზე" თვიური საწევრო 50 მ., ხოლო ცალ ცხენიანზე 40 მ. ერთდროული შესასვლელი 20 მ. კოოპერატივის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქუჩულორია.

კრება ღებულობს შემდეგ რეზოლუციას: „კრების სახელით წინადადება მიეცეს კოოპერატივის გამგეობას რაც შეიძლება დაჩქარებით მოიწვიოს საზოგადო კრება, სადაც გამოირკვევა კოოპერატივის გამგეობის მუშაობა-საქმიანობა. კავშირის გამგეობას კი დაევალოს მიიღოს ზომები ჩაწერილ იქნან ყველა ბირჟის წევრები კოოპერატივში. მე 6 კითხვის შესახებ მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა კალისტრატე ჩემიას მიერ შემოტანილი წინადადება: მოჯამაგირეები დაიყოს ორ კატეგორიათ. პირველი კატეგორიის მოჯამაგირეს დაენიშნოს თვეში ორი ათას ხუთასი მანეთი, ხოლო მეორესას ორი ათასი მანეთი. მე 7 კითხვის შესახებ კრება ადგენს: ის წევრი, რომელიც შეგნებულად, განზრახ დაარღვევს კავშირის დისციპლინას და პრინციპებს და არ დაემორჩილება გამგეობის დადგენილებებს, დასჯილ იქნას შემდეგის სახით: პირველად დაჯარიმებულ იქნას კავშირის სასარგებლოდ 500 მანეთით, მეორეჯერ განდევნილ იქნას მუშაობიდან ერთი კვირით, მესამეჯერ სულ გამორიცხულ იქნას კავშირიდან. მე 8 კითხვის შესახებ დადგენილ იქნა: ახალი წევრის მიღება ამა თუ იმ ბირჟაზე ხდებოდეს გამგეობის, ბირჟათა მომწესრიგებელ კომისიის და ბირჟის წარმომადგენელის დადგენილებით. რიგს გარეშე შემოსულ ორი წინადადების შესახებ დადგენილ იქნა: ნავთლუღის ბირჟის წევრთა მიღება კავშირში გადაეცეს გამგეობას და მომწესრიგებელ კომისიას, ხოლო კახეთის ბირჟასთან დახმარება გადაეცეს გამგეობას.

დიომიდე ქუჩულორია.

პროვინციაში

ზანძა (სენაკის მაზრა). აქ ყოველი კვირაობით ბაზრობა იმართება. დიდი ხალხი იყრის თავს როგორც ადგილობრივი, ისე შორიდანაც. ყოველგვარ სანოვაგე ბლომათ შემოაქვთ. ყოველივე ეს კერძო ვაჭრების ხელში იყრის თავს და შემდეგ გააქვთ დაბა-ქალაქებში, იქ ყიდიან ხუთ წილ ფასებში. საჭიროა ადგილობრივმა ერობამ [illegible] და სხვა თუ არა, ბაზარში შემოტანილ სურსათ-სანოვაგე მაინც შეიძინოს და გაუნაწილოს მცხოვრებთ.

შ—რი.

ქობულეთი. 24 იანვარს ადგილობრივ სკოლის შენობაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავათ გაიმართა დიდი საღამო—წარმოდგენა, რომელსაც მრავალ-რიცხოვანი საზოგადოება დაესწრო. მოწყობილი იყო ბუფეტი და უკრავდა სამხედრო მუსიკა. საღამოს დაესწრნენ აგრეთვე ნატანებიდგან. ქობულეთის მუსულმანები [illegible] გამოთქვამდნენ ნატანებიდგან ჩასულ სტუმრების წინაშე, ამბობდნენ: იმედი გვაქვს მომავალში მაინც ქართველების დახმარებით გავაჩაღებთ კულტურულ მუშაობასაო. წარმოდგენის დაწყებამდე მასწავლებელმა გვახარიამ, გააცნო დამსწრეთ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია. სიტყვის დასასრულს ორატორი ესალმება იქ დამსწრე საქართველოს მთავრობისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს, რომელმაც გამოიწვია ხანგრძლივი ტაში და გაუმარჯოს ძახილი. აგრეთვე მისალმა ისკენდერ ეფენდის ენერგიულ მოღვაწეობას, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი ტაში. სიტყვის დასასრულს დაიწყო წარმოდგენა, რომელიც მშვენივრათ ჩატარეს სცენის მოყვარეებმა. საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა. წარმოდგენის შემდეგ წაიკითხეს ხასან თხილაიშვილის ლექსი—„მესხეთო გაიღვიძე", რომელმაც დამსწრენი დიდ აღტაცებაში მოიყვანა.

ივაკი გოორგაძე.

წერ. რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო, ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადაუხადო აქ მყოფს: ე. ხტ. ლომბარძეს, პაატაშვილს, ექიმის თანაშემწე [illegible] კოვლიშვილს და სხვ., რომელთაც განსაკუთრებული ზრუნვა მიუღიათ იგ. საათაშვილის დიდი ამაგი დადებს და ყოველი ღონე იღონეს მის მოსარჩენად.

დარია საათაშვილისა.

— —

ღია წერილი დამფუძნებელი კრების წევრს ქ. ნ. შარაშიძეს.

კარდენახის თემის გამგეობა გთხოვთ აღადგინოთ სამართლიანობა კარდენახის თემის მასწავლებლის №-ის შორის მომხდარ უთანხმოებაზე, რომელიც გამოწვეულია თქვენი და სიღნაღის სამაზრო სკოლების მეთვალყურის ბ-ნ ნიკ. ახმეტელაშვილის სკოლების დათვალიერების დროს მასწავლებლის დათხოვნით. ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ პრესის საშუალებით აღნიშნოთ ვისი განკარგულებით იყო დათხოვილი ან რა მიზეზით იქმნა თანამდებობაზე დაბრუნებული აღნიშნული მასწავლებელი. ვინაიდან ბ-ნ ახმეტელაშვილის განცხადებით სჩანს, რომ ვითომდა აღნიშნული მასწავლებლის დათხოვა ყოფილა გამგეობის კარნახით, რამაც შექმნა გამგეობასა და მასწავლებელს შორის დაუსრულებელი ანტაგონიზმი.

გამგეობის თავმჯდომარე: (ვერ გავარჩიეთ), გამგეობის წევრი: ნიკ. დარაშვილი, (მეორე ვერ გავარჩიეთ).

განცხადებანი

კირილე მალაქიას ძე შენგელიამ

დაჰკარგა

კულაშის უმაღლეს პირველდაწყებითი ორ კლასიანი სასწავლებლის მოწმობა. სთხოვს მნახველს გაუგზავნოს შემდეგი მისამართით: სამტრედია—კულაში. კირილე მ. შენგელიას. (კუპ 96—1—1)

ოზურგეთში

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჭლექის მკურნალობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაცილით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. კ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 60)

გაბილ ლევანის ძე ქობულიამ

დაჰკარგა

ხონის რაიონულ სახალხო გვარდიის შტაბისაგან მოცემული მანდატი № 127, რაც გაუქმებულად ჩაითვლება. (კუპ. 49—1—1)

საჭიროა მთავარი ბუღალტერი

სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო, ქართული ენის ცოდნა. პირობები შეთანხმებისამებრ.

გორის ქალაქის გამგეობა.

(375—2—1)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექის აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

3230—

ექიმი

გ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი ლ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 37, [illegible] ახლო.

ექიმი ა. დ. [illegible]

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი

ნ. ლ. [illegible]

იღებს შინაგან, [illegible] ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმ ნავასარდიანისა

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დაარს. 1880 წ.

ყოველ დღე კვირის გარდა.

„606" და „914" 11—12 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურ. და ვენ. ავად. (სიფილისი).

გ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშო ავად. [illegible].

მ. მ. აგეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.

კარუკეს-ბეზურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიაობის ნაწილი.

ე. ა. ბორჯუკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).

ტერ გრიგორიანი—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.

ღარიბებს დარიგება უფასოდ.

სამკურნალოს დირექტორი

(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო

ქ. დონხინისა

(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97

(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები. (თ. 218)

ექიმი ვ. მ. მშინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ).

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 20. (თ. 3065).

დოქტორი მედიცინის

ა. ა. მონსე

სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით ავადმყოფობანი კუჭისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—3)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდროვს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ც. ბ. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

გზათა დეპარტამენტი ამით აცხადებს

რომ თანახმად მთავრობის წ. წ. 18 დეკემბრის დადგენილებისა განზრახ აქვს ტყვიბულის ქვანახშირის გასაღება გადასცეს საგენტოს, რომელსაც ქვანახშირი დაეთმობა კერძო პირებზე გასაყიდად დაწესებულ ფასებზე განსაზღვრული პროცენტების დაკლებით. საგენტო ვალდებული იქნება წელიწადში განსაზღვრული minimum-ი ქვანახშირისა გაიტანოს მაღაროებიდან გასაყიდად და გაჰყიდოს მხოლოდ გზათა დეპარტამენტის მიერ ნებადართულ ფასებში, ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად საგენტო ვალდებული იქნება წარადგინოს ხაზინაში განსაკუთრებული თანხა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რჩება ხაზინაში. დაწვრილებითი ცნობები და ხელშეკრულობის პროექტის გაცნობა შეიძლება გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში კვირა-უქმე დღეებში 11—12 ს. საქმის დღეებში კი ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ საჯარო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა შეიტანონ სახაზინო რკინის გზების მთავარ კასაში 50 000 მანეთი და ამის შესახებ კვიტანციასთან ერთად დახურულ კონვერტში ჩადებულ ბარათით წარმოადგინონ თავისი პირობანი გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში ამა წლის 15 თებერვლამდე, რომელ დღესაც მოხდება შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი 50,000 მანეთი უკანვე დაუბრუნდება შეჯიბრებაში დამარცხებულთ, ხოლო გამარჯვებულს ჩაეთვლება ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად ხაზინაში წარსადგენ ბეში.

გზათა დეპარტამენტი.

(ნ. 5—3)